140
1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარცლები 9 1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიმღერა ქართულ სკოლაზე

ელენე დიდიმამიშვილი

ჩემო სკოლავ — ჩემო დედავ,
სინათლის და სიბრძნის წყაროვ,
შენი სითბო ყველგან მდევდა,
სამუდამო, სანეტარო!

ჩემი ტკბილი დედაენის
აკვანო და ამაგდარო,
უწმინდესი შენი რწმენით,
შენი ლხენით დავალ, ვხარობ...

რუსთაველის დიდი ლექსის
სასოების შთამნერგავო,
ჩემი მიწის, ჩემი ზეცის
სიყვარულის დიდო გზაო...

ლაღი სიყრმის, განვლილ დღეთა
მოგონებავ უტკბილესო...
შენი ზარი გულში რეკავს,
გულში ჰყვავის შენი ეზო!..

კიდევ მრავალსაუკუნის
საქებო და სასახელო,
მრავალ ათას ნორჩთა გულის
თანამგზავრო, ცავ—ნათელო!..

ჩემო სკოლავ — ჩემო დედავ,
სინათლის და სიბრძნის წყაროვ...
შენი სითბო ყველგან მდევდა —
სამუდამო, სანეტარო...

მხატვარი
გიორგი ქლიბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, მარდად, მანქანა არ მოვაცდინოთ!

რეპორტაჟი ბაღ-ვენახებიდან

ია კ ი ნ ი ს კ ა ვ ი ლ ა ძ ე
მეურნეობის დირექტორი:

თბილისის ერთ-ერთ სამხრეთ მიჯნასთან ვრცლად გაშლილა ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრები და ბაღები. მარტო ვენახს 800 ჰექტარი ფართობი უკავია. ხეხილის ბაღებში რომ შედგამთ ფეხს, უკიდეგანო, დაბურულ ტყეში გეგონებათ თავი. სწორედ აქ იშრომეს თბილისის კიროვის რაიონის საშუალო სკოლების უფროსკლასელმა მოსწავლეებმა მეხუთე შრომითს მეოთხედში; აქ შეეტანეს თავიანთი მოკრძალებული წვლილი მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის წარმატებით დამთავრებაში.

გთავაზობთ რეპორტაჟს ვარკეთილის ბაღ-ვენახებიდან.

ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობამ წინა წლებთან შედარებით წელს მეტი ყურძენი და ხილი უნდა მიაწოდოს სახელმწიფოს. ამ დავალების გასანაღდებლად თავდადებით იბრძვიან მეურნეობის მშრომელები. მაგრამ მარტო მათ ნამდვილად გაუჭირდებოდათ: წლეულს ხილის მოსავალი ზღვად მოსკდა და მისი დროულად, უდანაკარგოდ მოკრეფა იოლი საქმე როდია. ამიტომ ძალზე გაგვიხარდა, როცა შევიტყვეთ, რომ სტუდენტებისა და ვარკეთილელ მოსწავლეთა გარდა, ასამდე თბილისელმა უფროსკლასელმაც გამოგვიწოდა დახმარების ხელი. მათ გულითადი შეხვედრა მოვუწყეთ.

პედაგოგების თანხლებით ჩამოსული მოსწავლეები ბრიგადებად დაიყვნენ, რომლებსაც მეურნეობის მოწინავე ბრიგადირები მივამაგრეთ. ბრიგადებმა ერთმანეთი სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს. მეურნეობის დირექციამ გამარჯვებულისათვის გარდამავალი დროშა დააწესა. ყოველი დღის ბოლოს ჯამდება შეჯიბრების შედეგები. იწერება ნიშნები: „5“, „4“, „3“, „2“. სასიხარულოა, რომ ჯერჯერობით არცერთი ბრიგადის საქმიანობა არ შეფასებულა „2“-ზე.

დირექცია ეცადა, ყოველმხრივ კარგი პირობები შეექმნა მათთვის — ტრანსპორტით უზრუნველყოფა იქნებოდა ეს, კვება, ბინა, დასვენება-გართობა თუ სხვა რამ. რამდენად შევძელით ეს, ამაზე დაე თვითონ „სტუმრებმა“ ილაპარაკონ.

ჟურნალი
9
სექტემბერი
1975
საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტების და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მადლობელი ვართ ყველა მოსწავლისა და მათი პედაგოგებისა იმ თვალსაჩინო დახმარებისათვის, რასაც ისინი მეურნეობას უწევენ.

ზურაბ კაპიძე,
მეურნეობის ბრიგადირი:

— გულახდილად რომ ვთქვა, თავდაპირველად დიდი იმედი არა მქონდა ჭალაქელი გოგო-ბიჭებისა. ვფიქრობდი: ესენი ეალდებულებას თავს ვერ გაართმევენ, შრომითი ენთუზიაზმი დიდს არ გაჰყვებათ-მეთქი. საბედნიეროდ, მალე დავინახე, რომ ჩემი ეჭვი უსაფუძვლო იყო: „ჭალაქელებმა“ ისეთი ცეცხლი შეუნთეს საქმეს, ისე სწრაფად აუღეს ალღო ყველა სამუშაოს, ტატოდით, ამათ ამ ჩვენს ზვარეში ხომ არ ეუღგამთ ფეხიო?... ვეხსნებიც ლაზათიანად ვიმარჯვნენ, ხილის კრეფაშიც დაოსტატდნენ. დიახ, დაოსტატდნენ. ამგამად შეორჩევითი კრეფა მიდის და მარტო ხელის სიმარჯვე არ კმარა, მწიფე ნაყოფს თუ მკვახეც გააყოლე, არ ივარგებს—ზარალია.

ფრიად კმაყოფილი ვარ. ბარაქალა მათ!

ბელა ირემაძე,
153-ე სამეალი სკოლის პედაგოგი:

— თურმე ეცდებოდი, როცა მეგონა, ჩემი მოსწავლეების ავი თუ კარგი საკმაოდ ვიცი-მეთქი. მართალია, სწავლის მხრივ არ ეიყავი მათი უკმაყოფილო, მაგრამ შრომაშიც თუ ასე იბეჯითებდნენ, ეს კი არ მეგონა.

— ხედავთ, რა საუნჯის პატრონები ვყოფილვართ! — მითხრა ჩემმა კოლეგამ, 75-ე სკოლის პედაგოგმა ვარლამ ხუციშვილმა, როცა ვეუფროფდით, რა ხალისიანად, რა ხელმარჯვედ კრეფდნენ ჩვენი სკოლელები ოქროსფერ გარგარს და ნაყოფით სავსე ხის ყუთებს მარბენინებდნენ მაღქანებში ჩასაწყობად. თითოეული მათგანი ერთ სამეშაო დღეში ორასზე მეტ კილოგრამ ნაყოფს კრეფს, დაღლილობას კი ვერავის შეატყობ.

შესვენების დროს ბევრ საინტერესო საკითხზე ვსაუბრობთ, ვმსჯელობთ... პედაგოგები და მოსწავლეები უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. მე, პირადად, უფრო ღრმად ჩავწვედი ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ სამყაროს, უფრო მკაფიოდ გამოვკვეთეთ მათი ადამიანური თვისებები. ეს თვენახევარი მხარში ამოგვიდგება სწავლის პერიოდში.

როზა ფანალაიძე,
127-ე სამეალი სკოლის მოსწავლე, მეოთხე ბრიგადის კომსორი:

— წლევანდელი 15 ივნისი ღირსსახსოვარი თარიღია ჩემს ცხოვრებაში: ამ დღეს დაიწყო ჩემი შრომითი საქმიანობა ვარკეთილის საბეჭოთა მეურნეობაში.

მეურნეობაში მოსვლისთანავე ჩვენმა ბრიგადამ ვენახს მიაშურა. ვაზს ნამარი მოვაცილეთ, შემდეგ აკვრა დავიწყეთ. ყოველდღიურად 3500, ზოგჯერ კი 4000 ძირ ვაზს ეკარგედით და ვარდამეავლ ღონეშა არავის ვუთმობდით. ვენახის სამეშაოს რომ მოვრჩით, ხეხილის ბაღში გადავინაცვლეთ. აუჰ, რა საყვარლად ღუოდა ბალი და ალუბალი! ცალკერძ, ნაყოფის სიმძიმით მიწამდე ტოტებდახრილი ატმის, გარგარის, ქლიავის, ქერმის, ვაშლის ხეები გვიხმობდნენ: არიქა, მოგვეშველეთო! ჩვენც ჩვენებურად დაეტრიალდით. ცოტი რაზიკაშვილი, თინა ამბარცუმიანი, ვალერი გოგოლაძე, შოთა ქაჯაია ერთმანეთს შეეჯიბრნენ — დღის განმავლობაში ვინ მეტს მოვკრეფთო. ყველა წარმატებით საქმიანობს

რამდენიმე დღეც და, მეხუთე შრომითი მეოთხედი დამთავრდება, შინისკენ გავსწევთ. ისე შევეფიოთ შრომის ეშხში, რომ გული გვუყდება. გვიძღიმს ამ ზღაპრულად ლამაზი სანახების მიტოვება, ჩვენს კეთილ მასპინძლებთან დაშორება.

ზურაბ შეინგელია,
153-ე სამეალი სკოლის მოსწავლე:

— თითქმის თვენახევარია ვარკეთილის „მკვიდრად“ ვთვლეები. ამ ხნის მანძილზე ჩვენს მესამე ბრიგადას თავი არ შეურცხვენია. არ ყოფილა შემთხვევა, რომ დღიური ნორმა არ შეგვესრულებინოს. ხშირად კიდეც გადაგვიჭარბებია. აქ შრომამ საოცრად შემაყვარა მიწა მთელი თავისი სიკეთით. ვენახში რომ ვმუშაობდით, მაგონდებოდა ხოლმე ქართველი გლეხკაცის მრავლისმთქმელი, ლოკაკოთილი გაუზლით საკვი ეუთი ეუთს ეგაკეხა.

ზღერ მხოლოდ ზუაზლეა, ბესაბე ბარიბაზას კი თითქმის ზესაულეხეული აკვა ხილის ‘ კრეფის ზლეეარ ნოკა.

ბალაბეზა „ბეზენაბეეხი“ სწრაფად ბაიწყეწნენ ბაზის აკვარეი.

ზეკეენეზისას საინტერესო ზეიხი ბესწრეზეა — ზაღლილობას სულ ზაბაბეწყეზა.

ზები ქარვისფერი მტევნებით დაიტვირთებიან და რთველი გაჩაღდება, მერთვლე ადამიანები გარჯას შეგვიქებენ, იტყვიან: ამ ვენახში თბილისელი მოსწავლეების ხელიც ტრიალებდაო.

როცა ზღვად გაშლილ ბაღ-ვენახებს გავცქერი, გულში ვადიდებ იმათ მარჯვენას, ვინც უდაბნოდ ქცეული მიწა თხუთმეტიოდე წელიწადში წალკოტად აქცია.

კარინა მიკირტიჩიანი,
75-ე საშუალო სკოლის მოსწავლე:

— გამოგიტყდებით, ერთგვარი შიშით მოვდიოდი მეურნეობაში სამუშაოდ: მე ხომ არც ვენახისა გამეგებოდა რაიმე და არც სხვა სოფლური სამუშაოებისა. ვშიშობდი, ვაითუ ჩემს ამხანაგებს მხარი ვერ ავუბა და შევრცხვე-მეთქი. მაგრამ უფროსებისა და ტოლ-მეგობრების დახმარებამ მალე გააქარწყლა ჩემი შიში. ტრაბახად არ ჩამომართვათ და, ქებაც არაერთხელ დავიმსახურე. ეს ქება კი ნაკლებ სიხარულს როდი მანიჭებს, ვიდრე, ვთქვათ, სასწავლო საგნებში მაღალი ნიშნის მიღება. გამიგონია: შრომა ადამიანს აკეთილშობილებსო. ამ თქმის აზრი ჩემთვის ახლა უფრო ნათელი გახდა. გული სიხარულით მევსება, სამუშაო დღის ბოლოს ჩვენს ნამუშევარს „5“-ზე რომ შეაფასებენ ხოლმე. მიხარია, რომ ვამართლებთ მშობლიური სკოლის, კომკავშირული ორგანიზაციის იმედს.



ტარიელ ჭაჯაია,
75-ე საშუალო სკოლის მოსწავლე:

— ასეთი მხიარული, შინაარსიანი არდადეგები არასოდეს მქონია. მანქანაში ხელიხელგადახვეულნი სიმღერით მივდივართ სამუშაოდ, სიმღერითვე ვბრუნდებით ბანაკში, სადაც გემრიელი სადილი და დასვენება გველოდება. მამობრივად ზრუნავენ ჩვენზე მეურნეობის მესვეურები, ყველა პირობას გვიქმნიან, რათა აქ ისე ვიგრძნოთ თავი, როგორც შინ, ახლობლებთან.

მარტო შრომით როდი ვკმაყოფილდებით: შევქმენით აგიტმხატვრული ბრიგადები; ვუშვებთ კედლის გაზეთებს — „დიდება შრომას!“, „ვიშრომოთ, ვილხინოთ, ვიხაროთ“: გამოვუშვით სატირულ-იუმორისტული კედლის გაზეთიც. გულმოდგინედ ვვარჯიშობთ, ვემზადებით მშდ ჩასაბარებლად. შეხვედრა მოვუწყეთ მეურნეობის მოწინავე მუშებს. ეს თავშეყრა კონცერტით დავამთავრეთ. დავუმეგობრდით ვარკეთილელ თანატოლებს. ვეჯიბრებით მათ შრომაში, სპორტულ ასპარეზობაში. ჩვენი ბანაკი ძალზე მეგობრულია. ერთად დავდივართ კინოში, ვკითხულობთ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. ერთურთს ვუზიარებთ ჩვენს ოცნებებს, მომავლის გეგმებს...

— ხომ არავინ მოიწყინა? — გვეკითხება დროდადრო მასწავლებელი პეტრე ტყემალაძე. პასუხად მხოლოდ გვეღიმება. აქ არავინ მინახავს დაღვრემილი, ერთთავად ჩინებული განწყობილება სუფევს.

დამთავრდა შრომითი მეოთხედი. ეს 45 დღე დიდხანს ეხსომებათ თბილისელ მოსწავლეებს, რომლებმაც თავიანთი ბეჯითი გარჯით ვარკეთილელ მშრომელთა მადლობა დაიმსახურეს. ვუსურვებთ, ასევე ესახელებინოთ თავი სწავლაშიც.

ფოტო
გიორგი გაგუნიასი.

ლალაკტიონ 80 ლილოთვი

ეს წელი გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო წელია. გალაკტიონ ტაბიძის იუბილე კი ქართული საბჭოთა პოეზიის იუბილეა.

გალაკტიონ ტაბიძემ მაშინ შემოაღო ქართული პოეზიის კარი, როდესაც მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის არწივებმა — ილიამ, აკაკიმ და ვაჟამ ფრთები დაკეცეს. ეს იყო დიდი ეპოქის დასასრული და დასაწყისი ახალი ხანისა. თვითონ გალაკტიონმა შესანიშნავად თქვა: „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი, რა მძლავრად ქუხდა მათი სახელი, რა დიდი იყო მათი დიდება“... საჭირო იყო სიტყვის დიდი ოსტატი, რომელიც ეპოქის დიდ პოეტურ ტრადიციას განავითარებდა, წინ წასწევდა, ახალ სიმაღლესა და განს მისცემდა ჩვენს პოეზიას. ისტორიამ ეს მისია გალაკტიონ ტაბიძეს დააკისრა.

გ. ტაბიძემ, ჩვენი სახელოვანი კლასიკოსების მსგავსად, ლექსს უხვად მოაფრქვია მამულის ეშხი და სიყვარული. მის პოეზიაში გვესმის ამირანის გუგუნის ხმა, ხან კიდევ მტრისაგან გადაბუგულ ნანგრევებიდან იმზირება იავარქმნილი მამული („15 საუკ“, „ციხის ნანგრევებთან“,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბალაჯიოლი

„ნ[illegible]ულის ჩრდილები“, „დარიალისა ციწრო კლდეებში“). ფეხზე ამდგარი პოეტი ადღეგრძელებს ჭაღარა თბილისს თუ დაჩოქილი ლოკულობს მამულზე, — ყველგან გვიხმობს და მოგვიწოდებს დავიცვათ ჩვენი მამული და ყოველივე ამით აღვივებს და აწრთობს ხალხის გულში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის უწმინდეს გრძნობას.

გალ. ტაბიძე დიდი და განუმეორებელი ნოვატორია ქართული ლექსისა. არავის ჰქონია ისეთი არტისტიზმი ქართული სიტყვისა, როგორიც გ. ტაბიძეს. არავის დაუმორჩილებია ქართული სიტყვა ისე თავისუფლად და მისთვის ისეთი დიდი სუნთქვა არავის მიუნიჭებია, როგორც ეს გალ. ტაბიძემ მოახდინა. იშვიათად თუ ვისმე მიუნიჭებია ქართული ლექსისთვის ისეთი მუსიკალობა, ცოტას თუ ვისმე აუმღერებია ქართული სიტყვა ისე მსუბუქად და ფრთაასხმულად, როგორც ეს გალ. ტაბიძის პოეზიაშია გამოვლენილი.

გალ. ტაბიძემ პირველმა იგრძნო და აითვისა რიტმი რევოლუციისა და თავის პირველსავე ჭაბუკურ ქმნილებებში გამოხატა მისი მოახლოებული გუგუნი. ასე გულგაშლით, ასე შთაგონებულად, ასე რომანტიკულად და მღელვარედ არავის გამოუხატავს ჩვენი საუკუნის რევოლუციური ეპოქის ქარტეხილი, მე-20 საუკუნის რევოლუციური საქართველოს სულიერი ზრახვები და ფიქრები. „დროშები ჩქარა“, „ჯონ რიდი“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „ღრუბლები ძაუგთან“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, თითქმის ერთიანი მგზნებარე ჰიმნია რევოლუციური საქართველოსი. სწორედ ამგვარი ლექსებით დაიმკვიდრა მან ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლის სახელი.

გალ. ტაბიძე იყო მძაფრი კონფლიქტებისა და ტრაგიკული ინტონაციების პოეტი. მან მღელვარედ აითვისა დიდი სოციალური ვნებები და საზოგადოებრივი კითხვები, ყველაფერი ეს შეუფარდა ადამიანის სულის ინტიმურ რხევას და ასე გამოხატა ჩვენი სამყაროს მრავალმხრივობა. ეს მრავალფეროვნება ქმნის იმ დიდ მუსიკას, რომელიც აგრერიგად გვიტაცებს და გვაჯადოებს. და სწორედ ამიტომ გ. ტაბიძის სევდიანი სტრიქონებიც როდია დედაბრული ბუზღუნი ცხოვრებისაგან განდგომისა. ძველ სამყაროსთან უთანასწორო

გალაკტიონი დედასთან და ძმასთან. 1916 წელი.

ბრძოლაში შეჭიდებული პოეტი ბევრჯერ მწარედ აქვითინებულა და ცხარე ცრემლები დაუღვრია, მაგრამ ეს იყო ის დიდი შინაგანი რწმენით გამთბარი სევდა, რომელიც ადამიანს ეძახდა ნათელი სიცოცხლისაკენ.

გალაკტიონ ტაბიძე სოფელში დაიბადა. ტაბიძეები გლეხები იყვნენ. მას წინაპრების მსგავსად უთოხნია, უთესია, ვაზიც გაუსხლავს და ვენახიც შეუწამლავს. მიწის ძახილი, ტყის შრიალი — საიდუმლოებით მოცული — გალაკტიონს აქ შეუგრძვნია. აქ დაიბადა მისი დაკვირვებაც და წუხილიც სულისა.

გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წელს, 17 ნოემბერს სოფელ ჭყვიშში (ვანის რაიონში) სახალხო მასწავლებლის ვასილ ტაბიძის ოჯახში, მამის გარდაცვალებიდან შვიდი თვის შემდეგ.

უმამოდ დარჩენილი მომავალი პოეტის აღზრდა დედას დაეკისრა. დედა, მაკრინე გიორგის ასული ადეიშვილი, ქართული მწერლობის დიდი მოყვარული და დამფასებელი იყო, ძველი მწიგნობარი ქალებივით დიდად გატაცებული მკითხველი ქართული მწერლობისა. დედამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა თავის შვილებს, გალაკტიონ ტაბიძეს და მის უფროს ძმას, აროკლეს (რომელიც შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი იყო) ქართული მწერლობის დიდი სიყვარული.

1900 წელს 8 წლის გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისში ჩაიყვანეს და სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. ქუთაისი მაშინდელი საქართველოს კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ტიპიური და დამახასიათებელი ცენტრი იყო. გალაკტიონი უფროსკლასელ ვლადიმერ მაიაკოვსკისთან ერთად მონაწილეობდა 1905 წლის დემონსტრაციაში და მუშებთან ერთად რევოლუციონურ სიმღერებს — „მარსელიოზასა“ და „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ მღეროდა. რევოლუციონური ქუთაისი ღრმად აღიბეჭდა პოეტის სულში. ქუთაისი გახდა მისი პოეზიის აკვანიცა და მისი პირველი გმირიც. ბავშვობიდანვე გათვითცნობიერებული ჭაბუკი მონაწილეობას იღებდა მოსწავლეთა არალეგალურ კრებებში, რომელიც ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან იმართებოდა. აქ ამხანაგების წრეში წაიკითხე ლექსი „პირველი მაისი“,— სიამაყით აცხადებს პოეტი. 1908 წელს 17 წლის გალაკტიონ ტაბიძე თბილისში ჩამოდის და სასულიერო სემინარიაში ეწყობა. ნიჭიერი ახალგაზრდა მგოსანი, სემინარიელი გალაკტიონ ტაბიძე გაზეთ „ამირანსა“ და ჟურნალ „ჩვენს კვალში“ აქვეყნებს თავის პირველ ლექსებს — „მთვარე კაშკაშებს“ და „შავი ღრუბელი“.

გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური ტკივილებით შემოვიდა პოეზიაში. მისი პიროვნული სევდა უფრო და უფრო ღრმავდება საზოგადოებრივი მწუხარებით—ილიას მკვლელობით გამოწვეული ეროვნული გლოვით დაბინდული თბილისის ცის ქვეშ. გალაკტიონ ტაბიძე უკვე 18 წლისა იყო და ვალდებული, დამოუკიდებლად ეზრუნა და ეფიქრა, შეეფასებინა საკუთარი შესაძლებლობანი პოეზიაში თუ მის გარეთ. და გალაკტიონ ტაბიძე საბოლოოდ გადაწყვეტს: პოეზია უპირველეს ყოვლისა. 1911 წელს იგი ტოვებს თბილისის სასულიერო სემინარიას და ერთხანს მასწავლებლობას ეწევა დასავლეთ საქართველოს რაიონებში.

პოეზიის სამსახური და პოეზიით ხალხის სამსახური გახდა გალაკტიონ ტაბიძის მოწოდება. პოეტმა 1908 წლიდან ვიდრე 1914 წლამდე დაწერილ ლექსებს თავი მოუყარა და ერთ წიგნად გამოსცა. ლექსების ამ პირველმა წიგნმა ერთბაშად მიიპყრო მკითხველთა ყურადღება და პოეტს დიდი პოპულარობა მოუპოვა.

1915 წელს გალაკტიონ ტაბიძე მიემგზავრება მოსკოვს. აქ იგი პირადად ეცნობა რუს სიმბოლისტებს: ბალმონტს, ბრიუსოვს, ბლოკს და პირად ლიტერატურულ ურთიერთობას ამყარებს მათთან. ამავე დროს ლექციებს ისმენს შანიავსკის სახელობის უნივერსიტეტში, მაგრამ უსახსრობის გამო 1916 წელს ბრუნდება საქართველოში.

თებერვლის რევოლუციის დღეებს და თვითმპყრობელობის ტახტის დამხობას გალაკტიონ ტაბიძე მიესალმა ქუთაისიდან ცნობილი ლექსით „დროშები ჩქარა“. სულ მალე პოეტი მიემგზავრება პეტერბურგს. და გალაკტიონ ტაბიძე სოციალისტური რევოლუციის, მსოფლიო ისტორიული ამბების მოწმე ხდება. 1918 წელს იგი საქართველოში ბრუნდება გემი „დალანდით“ (შავი ზღვით) და სამშობლოში იგონებს იმ დიდ რომანტიკულ აღფრთოვანებას, რომელმაც

წარწერა გალაკტიონის წიგნზე

ზ. მებურიშვილი

მზემრავალი,
ჩრდილმრავალი,
ქარმრავალი
კარნავალი,
პოეზიის კარნავალი!
თვალს ვერ მოსწყვეტ
ბედნიერებს,
იღბლიანებს
ქართულ სიტყვებს —
უნიღბოებს,
ნიღბიანებს.
ენის ლხინი,
მშობლიური ენის ლხინი!
განთქმულია
ამ მებაღის ბაღის ხილი.
ბევრიც ძებნო,
უკეთესი ვერ იხილო.
იდღეგრძელე
მშობლიური ენის ლხინო.
მზე მრავალი,
ჩრდილმრავალი,
ქარმრავალი,
კარნავალი,
პოეზიის კარნავალი!

მოიცვა პოეტის სული, იგონებს, თუ როგორ იხილა „ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა და მოიტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“.

1919 წელს გამოაქვეყნა თავისი ლექსების მეორე კრებული — „არტისტული ყვავილები“. ამ წიგნს ფართოდ გამოეხმაურა პრესა.

დიდი ქართველი პოეტი გალაკტი-

ონ ტაბიძე გარდაიცვალა 1959 წელს, 17 მარტს. ქართველმა ხალხმა თავის უწმინდეს მიწას, ქართული მწერლობის მამათა სავანეს — მთაწმინდას მიაბარა უახლესი ქართული მწერლობის მამა, საბჭოთა მწერლობის ფუძემდებელი გალაკტიონ ტაბიძე. იგი ქართული მწერლობის დიდი ოჯახიდან ფიზიკურად წავიდა, მაგრამ ჩვენს შორის დარჩა თავისი უკვდავი პოეტური სულით, დიდი პოეტური ვნებებით, ფიქრით და ოცნებით, თავისი დაუბერებელი ლექსებით.

* * *

გალაკტიონ ტაბიძე დიდი პიროვნული და საზოგადოებრივი ტკივილების გამომხატველი პოეტია. ისეთნაზ ლირიკოსს, მთრთოლვარე სულის ჯადოქარ პოეტს, როგორიც გალაკტიონ ტაბიძე იყო, არ შეეძლო ყოფილიყო გულცივი და ნეიტრალური იმ საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, რომელშიაც მოექცა მისი დიდი პოეტური ნიჭი, და ისიც მღელვარებით, თრთოლვით, სიხარულით უმზერდა მე-20 საუკუნის რთულ ეპოქას, ან როგორც თვითონ ამბობდა, „სამი მძაფრი რევოლუციის ხანას, რომელიც იყო გუგუნი მთელი ეპოქის“ და პასუხობდა ამ მოვლენების მიერ დაყენებულ კითხვებს. პირდაპირ თუ მოიარების გზით რევოლუცია იქცა გალაკტიონ ტაბიძის სულის განუყოფელ ნაწილად, პოეტი ამაყობდა კიდეც თავისი რევოლუციური წარსულით.

სახელოვანი სიცოცხლე, ხალხისთვის თავდადებული სამსახურის აზრი და იდეალი კარგად გამოხატა გალ. ტაბიძემ თავის სიტყვებში:

სიკვდილს მე როდი შევუშინდები,
იგი — ძმა მუდამ ჩვენს მხარეზეა,
მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის,
სიკვდილს რომ ჰგავს და უარესია.

გალ. ტაბიძეს პოეზიის უმაღლეს დანიშნულებად სამშობლოს სამსახური, ხალხის სამსახური მიაჩნდა.

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს სიყვარულისა და ბუნების თემას. ამ მხრივ იგი უშუალოდ ეხმაურება ქართული კლასიკური მწერლობის დიდ ტრადიციებს, კერძოდ, ქართველი რომანტიკოსების ძვირფას პოეტურ მემკვიდრეობას.

არსებული სინამდვილით უკმაყოფილო პოეტები, სევდითა და ჭმუნვით შეპყრობილი რომანტიკოსები მიმართავდნენ ბუნებას, როგორც სულიერი ტკივილების გაყუჩების საშუალებას. ბუნებასთან აბამდნენ ისინი იდუმალ კავშირს, მას ანდობდენ სევდასა და წუხილს. ბუნების

გალაკტიონი ტყიბულელ მეშახტეებთან. 1956 წელი.

შეხვედრა პიონერებთან. 1952 წ.

ილიკო ჟურხული, გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ჟუჩიშვილი.

გალაკტიონი ქუთაისის სემინარიაში სწავლის დროს. 1909 წელი.

ამგვარ გააზრებას დიდი ადგილი უჭირავს გალაკტიონის შემოქმედებაში. გ. ტაბიძის ბუნება ცოცხალი არსებაა, ადამიანის ჭირისა და მწუხარების მოზიარეა.

გ. ტაბიძემ ბუნების რომანტიკულ გაგებას ახალი შტრიხიც შეჰმატა: პიროვნული ტკივილების ბუნების მოვლენებთან დაწყვილება.

საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეს სამშობლოს განახლების რწმენით შთაგონებული პოეტი მტკიცედ დგება რევოლუციური საქართველოს მხარეზე.

გ. ტაბიძემ მთელი თავისი ძლიერი პოეტური ხმით უმღერა განახლებულ და აღორძინებულ ახალ საქართველოს და ამ სიმღერაში ეულად ბატრიოტი პოეტის ხმა ჩვენი მამულის, ჩვენი ღირსების დასაცავად. გ. ტაბიძე უპირველესად ყოვლისა თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო. პოეტის ეს პატრიოტული განწყობილება ორიგინალური ფერებითა და საღებავებით არის გამოხატული ლექსში „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. ყოველ ადამიანს აქვს სასოებითა და სიყვარულით შენახული რაიმე ნივთი: ზოგს — ჩაის ვარდი, ზოგს — ბარათი, ბეჭედი, საფერფლე თუ საფულე, ზოგს კი — „წიგნი რამ ძნელად მოსაპოვარი“. მაგრამ სამშობლოს სიყვარული ყველაფერზე ძვირფასია. ვერცერთი სხვა გრძნობა მას ვერ შეედრება. ყველაზე უფრო დიდებული და სანუკვარი გრძნობა სამშობლოს სიყვარულია. ამ რწმენით, საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი გრძნობით არის განათებული გ. ტაბიძის ერთ-ერთი პოპულარული ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“. დიდმა პოეტმა თითქოს იგრძნო სამამულო ომის მოახლოება და გამახვილებული გრძნობით უმღერა სამშობლოსათვის თავდადების მაღალ იდეას. ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ 1940 წელს გამოქვეყნდა. სამამულო ომის წინახანებში გამოქვეყნებული ეს პატრიოტული შედევრი იშვიათი აღმაგზნებელი ძალით აჟღერდა:

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.

ნუნეთის ავტობუსი

(პოეტის გახსენება)

იგი მინახავს მოსკოვში პუშკინის ძეგლთან. სოხუმში — ზღვის სანაპიროზე. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, აყვავებული მაგნოლიების ხეებთან. მინახავს რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე. სოფელ კარალეთში კალოობაზე კოლმეურნე ქალებთან მოსაუბრე. წყნეთის, გლდანის, დიღმის მიდამოებში, ბეთანიის გზაზე, მცხეთაში... ასევე უნახავთ იგი სხვებსაც — მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი, გენიალური გალაკტიონი, ჩვენი დიდი თანამემამულე. უყვარდა მოგზაურობა, ბუნება, ისტორიული ძეგლებისა და ნანგრევების დათვალიერება, ფაბრიკებში, ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე უბრალო ხალხთან გასაუბრება, სკოლებში, პიონერთა ბანაკებში ბავშვებთან შეხვედრები. ქვემოთ წაიკითხავთ ნამდვილ ამბავს — პოეტის გასაუბრებას ბიჭუნასთან.

1955 წელი. ზაფხულის ცხელი დღე. ხალხით გაჭედილ წყნეთის ავტობუსში გალაკტიონი ამოვიდა.

— „აქეთ მობრძანდით, აქეთ მობრძანდით“, —ადგილი შესთავაზეს მგზავრებმა მგოსანს, ბილეთიც აუღეს. დიდები და პატარები ერთიმეორეს ეცილებოდნენ იმის პატივისცემას.

ავტობუსის წინა რიგში 6-7 წლის ქოჩორა ბიჭუნა იჯდა. შუბლთან თმა რკალად ეხვეოდა. ხორბლისფერი სახის კანი და საოცრად მეტყველი თვალები ჰქონდა. გალაკტიონი ბიჭს დააცქერდა — ეტყობა, თვალში მოუვიდა ყმაწვილი. წყნეთს რომ მივუახლოვდით, პოეტმა ბიჭუნას მხრებზე ხელი მოხვია, ფანჯარაში გაახედა, ამაღლებულ ადგილზე მიუთითა (წყნეთელები იმ ადგილს „გადასახედს“ ეძახიან) და უთხრა:

— აქ უნდა ავაგოთ ქართველი ქალის ძეგლი. ერთ ხელში ხმალი უნდა ეჭიროს, მეორეში — წიგნი. ისეთი დიდი უნდა იყოს, რომ თბილისიდან ჩანდეს. ეს იქნება მაია წყნეთელის ძეგლი. ეს იქნება თამარ ვაშლოვანელის, ქეთევან წამებულის ძეგლი... არა, ეს იქნება ყველა ქართველი დედის ძეგლი, ქართველი ქალის ძეგლი! ქართველი ქალი ჩვენი ქვეყნის ბურჯია, ის გვასწავლის დედაენას, შრომასა და მამულის სიყვარულს. დაიხსომე ეს, ბიძიკო!

ლაპარაკობდა თავისებურად, გალაკტიონისებურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, რიტმულად. მოთაფლისფრო თვალები საოცრად უბრწყინავდა. მგზავრები სულგანაბული უსმენდნენ. ბიჭს გვერდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეკილი

ნინო ბეზარაშვილი

მხატვარი ზურაბ მეძმარიაშვილი

მოთხრობა

სოფელი ხმაურობს, ქოთქოთობს, აივანზე საჩურჩხელე კაკალს ამტვრევენ, ბადაგში დასველებული ჩაქუჩით ლეღვის ჩირს აბრტყელებენ, მარნებიდან მოისმის ლაპარაკი და ყურძნის საწური მანქანის რახრახი. ეზოდან ეზოში გადარბიან კაცები, ქალები, რაღაცას თხოულობენ, ერთმანეთს ეძახიან, ჩქარობენ... კარგად იციან, თუ შემოდგომის წვრილი წვიმა წამოვიდა, დიდხანს აღარ გადაიღებს და ბევრი რამ დარჩებათ გასაკეთებელი და დასაბინავებელი.

აივანზე ვდგავარ სვეტს მიყრდნობილი, ბინდბუნდში გახვეულ სოფელს გავცქერი. ბოლისფერი ნისლი მთებიდან დაბლობისაკენ მიიწევს. ნიავი უბერავს, უკვე ყუნწებშესუსტებულ ხის ფოთლებს აცახცახებს და თან მოაქვს თონეში შემწვარი ლეღვისა და ყურძნის სურნელი.

მეზობელ ეზოში ვეება სპილენძის ქვაბით სათათარე ტკბილს ადუღებენ. ხანდახან ქვაბთან შავი, მაღალი ლანდი გამოჩნდება ხოლმე, დაიკუზება, ცეცხლს შეუჩრჩხინებს, მერე ქვაბსაც ჩახედავს და წავა.

ჯანღმა იმატა, აცივდა კიდეც, მაგრამ შინ შესვლაზე მაინც არ ვფიქრობ. წელან მაწყენინეს და გარეთ მირჩევნია. თუმცა აქ ყოფნაც მომწყინდა. გული იმ ცეცხლისკენ მიმიწევს, მელანო ბებიას ეზოში რომ ანთია.

მოდი, მივალ იმ ცეცხლთან!— ვთქვი გულში და კიბეზე დავეშვი. ქვაბს გარშემო შემოვუარე და, ბოლს რომ არ შევეწუხებინე, ზურგით იმ მხარეს დავდექი, საიდანაც ნიავი უბერავდა.

მელანო ბებია არ ჩანდა, მარანში მხოლოდ შაქრო პაპა ფუსფუსებდა. მოხუცმა კარიდან გამოიხედა, ალბათ ფეხის ხმა გაიგონა და ჩემკენ წამოვიდა.

— ე, ეს ვინ მოსულა! რა ახლოს დამდგარხარ ცეცხლთან, ეგრე ძალიანა გცივა?

— არა, მაგრამ სასიამოვნოა!

მართლაც სასიამოვნო იყო ცეცხლი: თბილი, ლამაზი, გიზგიზა. ქვემოდან წითელი ალი ქვაბის პირამდე აჭკრავდა ხოლმე, თიოქოს უნდოდა შიგ ჩაეხედა და გაეგო რა დუღდა.

— მაჭარი არ გინდა? — მკითხა შაქრო პაპამ.

— არა, არ მიყვარს.

— მაჭარზე კარგი აბა რა არის!

შაქრო პაპა მარანში შევიდა და მაჭრით სავსე ჭიქა გამოიტანა.

გ. ტაბიძის ეს პატრიოტული მრწამსი მთელი სისრულით გამოიხატა სამამულო ომის დღეებში. პოეტის შესანიშნავი ლექსები გვერდში ამოუდგა ჩვენს ხალხს, მეომარ საბჭოთა ხალხს, როგორც ცოცხალი მომქმედი, დიდი მორალური ძალა. გ. ტაბიძის იშვიათი პოეტური ტალანტით გაბრწყინებული ლექსები: „სამშობლო“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „ღრუბლები ძაუგთან“, „არ გიღალატებ“, „მამულო სიცოცხლეო“, „თასი“, სამამულო ომის წლების პოეზიის ნამდვილი მშვენებაა.

გ. ტაბიძის პოეზიაში, როგორც დიდ სარკეში, ისეა არეკლილი მე-20 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი სულიერი ზრახვები და ფიქრები.

გ. ტაბიძის განუმეორებელი პოეტური სული, მის წიგნებში დასადგურებული მღელვარე ვნებები და განცდები მუდამ იქნება პოეზიის ამოუწურავი საგანძური, დიდება და სიამაყე ქართველი ერისა. ეს დიადი, დაუბერებელი პოეტური სული მარად იცოცხლებს, მარად იშრომებს თავის ხალხთან ერთად; მუდამ იპოვის ნათელ გამოძახილს ხალხის გულში, როგორც მისი გულის ფეთქვა და, რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო მეტს ცხოველმყოფელობას, მგზნებარებას და შთამაგონებელ გავლენას მოახდენს პოეტური სიტყვის ეს დიდი ოსტატი.

სერგი ჭილაია.

დედა უჯდა. ბავშვს ხელი მაგრად ჩაეკიდა დედისათვის და ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა მგოსანს.

გავიდა წლები. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. ამჟამად ის ბიჭი ინჟინერ-ფიზიკოსია. არ ვიცი, ახსოვს თუ არა მხრებზე მოხვეული მგოსნის თბილი ხელი და დავალება. მე კი, როცა წყნეთის ავტობუსით ვმგზავრობ, „გადასახედთან“ მიახლოებისას თითქმის ყოველთვის ჩამესმის მგოსნის მღელვარე ხმა: „აქ უნდა ავაგოთ ქართველი ქალის ძეგლი. ერთ ხელში ხმალი უნდა ეჭიროს, მეორეში — წიგნი... ეს იქნება ყველა ქართველი დედის ძეგლი... დაიხსომე ეს, ბიძიკო!“...

საგულისხმოა, რომ გალაკტიონმა თავისი მოსაზრება ქართველი ქალის, ქართველი დედის ძეგლის დადგმის შესახებ გამოთქვა ბევრად ადრე, ვიდრე თბილისში, ნარიყალაზე, ქართველი დედის ძეგლი დაიდგმებოდა.

მარგო თომაძე

ცოტა ხანს შეჩერდა, საჩეხის სვეტზე მიკიდებულ ლამპის შუქზე ნეკა თითით ზემოდან მოგდებული წიპწები მოაცილა და მე მომაწოდა.

— აჰა, ერთი გადაჰკა!

ისევ უარი ვთქვი — „არ მიყვარს-მეთქი“, მაგრამ ძალით მომაჩეჩა ჭიქა.

— დალიე, შვილო, დალიე, ჯანს მოგცემს!

საიდანღაც ლაპარაკ-ლაპარაკით მოვიდა მელანო ბებია.

— დალიე, სწორედ საშენოა, ტკბილია, პირსა შუშხავს, ერთი ორი დღის შემდეგ გამწარდება და, რომ მეხვეწო კიდეც, აღარ დაგალევინებ, — დამაძალა შაქრო პაპამ.

— მაშ, სულ შენ უნდა მიირთვა და მერმე ატაბატა ილაპარაკო? — ჩაურტყა მელანო ბებიამ.

— ხი, ხი, ხი!—ჩაიხითხითა შაქრო პაპამ, — ზოგი სულ ატაბატას ლაპარაკობს და, მე რომ სიმთვრალეში რაღაც წამომცდეს, ეგეც დიდი რამეა?

შაქროს არ სწყენია ცოლის სიტყვა, იცინოდა და მეხვეწებოდა, დალიეო.

მეც ავიღე და გადავკარი. მართლაც კარგი იყო მაჭარი, ტკბილი, შუშხუნა.

— აი, ეგრე! — გაუხარდა მელანო ბებიას. გავიქეცი, ჭიქა მარნის ფანჯარაზე დავდგი და ისევ ცეცხლთან მივედი.

შაქრო პაპა მარანში შევიდა, მელანო ბებიამ კი ცეცხლს მუგუზლები გამოუკეთა და მოშორებით დაყარა — „დუღილი ეყოფა, დაშრებაო“.

მე და მელანო ბებია კუნძებზე წამოვსხედით და ნაღვერდლებს მივუფიცხეთ ხელები.

— შვილო, ახლა გცალიან? გაკვეთილები ხომ არ უნდა ისწავლო?

— არა, ბები, უკვე ვისწავლე.

— მაშ ცოტახანს ჩურჩხელების აბნევა მიშველე, ეგრე მალე ხო არ დაიძინებ? ის სანაცილე გოგო შემპირდა, გიშველიო, მაგრამ სად არის! დღეს სულ დაიკარგა...

— ვინაა?

— ვინა და აი, გიგას გოგო — მარინე.

— მე გიშველი, ბები.

მე და მელანო ბებია მაღლა ავედით.

ოთახის შუაგულში, დიდ მაგიდაზე თეთრი ნიგოზი იყო დახვავებული. იქვე ეწყო ნართისა და მსხვილი კოჭის ძაფის ხიფები. მაგიდის კუთხეში კი იდგა უკვე ფერგადაცლილი, ძველებური მაღალი ლამპა, რომელსაც მუცელგანიერი დიდი შუშა ედგა და ზედ თითბრის მიბრეცილ-მობრეცილი რკალი ჰქონდა ჩამოკონწიალებული, ალბათ შუქფარისათვის.

— დაჯექი, შვილო, — მითხრა მელანო ბებიამ. თვითონაც მაგიდას მიუჯდა. გრძელი, მზემოკიდებული თითებით ნიგოზი თავისაკენ მიხვეტა და კარგად ალესილი დანით ჭრას შეუდგა. მსხვილ ლებნებს შუაზე სჭრიდა, პატარებს მხოლოდ ქიმს აცლიდა და ჩემს წინ ჰყრიდა ახალმოკალული პრიალა სპილენძის სინზე.

მე ჩურჩხელას ვაბნევდი, ბებია კი ნიგოზს სჭრიდა და თან რაღაცებზე მესაუბრებოდა. სინანულით მიამბო, როგორ დაუვარდა ხელიდან და დაამსხვრია ამ ძველებური ლამპის შაბიამნისფერი შუშის აბაჟური. ერთი კვირა დაძმარებული დავდიოდიო. ისიც გაიხსენა, რომ ნათავადარის ცოლისგან ეყიდა ეს ლამპა...

ამ ლაპარაკში ერთი ათიოდე ჩურჩხელა ისე ავაბნიე, ვერც კი გავიგე.

— დახიფული ძაფი გათავდა, ბებო, — შევახსენე მოხუცს.

— დავხიფოთ, შვილო. ძაფის მეტი რა გვაქვს. — მელანო ბებია კოჭის ძაფს დასწვდა და შაქრო პაპას ხმაც მოისმა:

— მელანო, ქვევრის დასარევი არ იცი სად არის?

— ზურგზე ხომ არ მოვიკიდებდი, კაცო, მანდ იქნება სადმე.

— აბა, სადა, ჩამოდი, მომიძებნე, თორემ გადმოვიდა წვენი.

— აი, დაგლახვროს ღმერთმა. არ მოასვენებ ხოლმე ადამიანსა.

მოხუცმა ბრახუნით დადო მაგიდაზე კოჭი.

— მე ავხიფავ, ბები, — დავიმედე.

— კარგს იზამ, შვილო, ერთი მტკაველი და ერთი გოჯი დახიფე.

ძაფზე ერთი მტკაველი და ერთი გოჯი გადავზომე. გადაზომილი ძაფის ერთი მხარე სკამის საზურგის კიდეს მოვდე, მეორე კი ჩემს სალოკ თითს — ვახვიე და ვახვიე ძაფი. კარგა ბლომად რომ დავახვიე, შუაზე გავჭერი, მერე ისევ შევუდექი ჩურჩხელის ასხმას და ბებიაც მოვიდა. თან თეფშით ერთი თითა ყურძნის კარგი მტევანი, თუშური ყველის ნაჭერი, ახალგამომცხვარი შოთი პური შემოიტანა და წინ დამიწყო: „ნიგოზიც მიატანე, შვილო, ძალიან გემრიელიაო". მეც საჩურჩხელე ნიგოზს ვასხამდი, თან ყველსა და პურს ვციცქნიდი, შიგადაშიგ ჯიქანივით სავსე მტევანს ვმარცვლავდი და გემრიელად ვისმუსნებოდი.

●

კარგა ღამე გადავიდა. პაპა უკვე დასაძინებლად დაწვა. ჩვენ კი ისევე მაგიდასთან ვისხედით. მელანო ბებია ნიგოზსა სჭრიდა, მე კი უკვე სათაურებს ვაბამდი.

—კარგი, შვილო, გეყოფა, თვალები გეტკინება. — ბებიამ ჩემს ასხმულ ჩურჩხელებს ჯერ ბოლოები გაუსინჯა, მერე სათაურები შეუმოწმა. — მაგრად არის ჩაბმული, თანაც რამდენი აგიბნევია, გენაცვალე, ხელებშიო. — მითხრა და ჩურჩხელები სათაურებით მაღლა ასწია. რამდენიმე ჩურჩხელა გრძელი იყო. ეს გრძელი ჩურჩხელები ბებიას დახიფულ ძაფზე იყო ასხმული, დანარჩენები კი — ორმოცდაათი თუ სამოცი, ჩემს ძაფზე.

— ვაიმე, ქა, სად გამოვაჩინო ეგეთი კუტა ჩურჩხელები? ხალხი რას იტყვის? — დაძმარდა ბებია.

— რა ვიცი, ბები, შენ აკი მითხარი, ერთი მტკაველი და ერთი გოჯიო...

— ჰოდა ჩემი ბრალია, — ხმას აუწია მელანო ბებიამ.—რასა ვფიქრობდი მე თავმკვდარი, რომ გეუბნებოდი, ერთი მტკაველი და ერთი გოჯი აიღე-მეთქი. შენ ჩემოდენა ხელი ხომ არ გექნებოდა! — ბებიამ გამოშალა თავისი გრძელთითებიანი დანაოჭებელი ხელი, მერე გადააბრუნა და მითხრა: „აბა შენი ხელი დაადეო". მეც დავადე. ჩემი ხელი იმის ხელთან შედარებეით ძალიან თეთრი და პატარა იყო.

თავი ჩავკიდე. გული დამიმძიმდა და ყელში რაღაც ბურთივით მომებჯინა. მელანო ბებიასაგან კარგის მეტი არაფერი მახსოვდა და როგორ ვაწყენინე! მეგონა, ისეთი საშინელი რამ მოხდა, რომ იმისი გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. დავდარდიანდი, სირცხვილისაგან მოვიბუზე. ყელში მობჯენილი ბურთი კი თანდათან მაღლა-მაღლა მოიწევდა, ვგრძნობდი, სადაც იყო თვალებიდან ცრემლი წამსკდებოდა, მაგრამ...

— დაიცა, დაიცა, შვილო, — მომესმა ბებიას მშვიდი ხმა.

როგორც იქნა ავწიე თავი და შევხედე. ბებიას ვიწრო ტუჩები ოდნავ გაეპო, თვალების გარშემო უამრავი წვრილი და მსხვილი ნაოჭი მოგროვებოდა და იმ ნაოჭებიდან კეთილი ღიმილი იფრქვეოდა.

ეს ღიმილი ნაცნობი იყო ჩემთვის. მელანო ბებიამ ასე იცის გაღიმება, როცა ვეწვევი. ამიტომ მიყვარს აქ მოსვლა.

— რა იყო, რას დაღონდი, შვილო. ეგრე უფრო კარგია. ეს ექიმსაო, ეს პეტრესაო, ეს პავლესაო — მოუსვამენ ხოლმე ხელსა და სულ ქალაქში წაიღებენ. ახლა უფრო ბევრი იქნება და ცოტა მეც დამრჩება, რომ ჩემი გუნებით ვისმე ვასიამოვნო.

— რომ დაიწუნოს?.. — შეშინებული ვეკითხები ბებიას.

— ვინა, ჩემმა რძალმა? დაიწუნოს რა! ვერ ვეტყვი, რატო არ ჩამობრძანდი და როგორიც შენ გინდოდა, იგეთი არ ააბნიე-მეთქი?

ბებიამ ჩურჩხელები ერთხელ კიდევ მაღლა ასწია სათაურებით.

— არა უშავს რა, შვილო, თათარაში რომ ამოვავლებთ, კუდები ჩამოუგრძელდება და ჭოკლე აღარ იქნება.

საერთოდ ასეთია მელანო ბებია, ვერ იტანს ბავშვი თუ დარდობს ან ტირის.

ვიცი, მელანო ბებიას ძალიანაც სწყინს ზაფხულში ქალაქიდან ჩამოსული შვილიშვილი კოკურას რომ გაუტეხავს, მაგრამ ერთს თავისთვის იტყვის — „აფსუს, რა ცივად ინახავდა წყალსაო", მერე კი... „რა გატირებს, შვილო, კოკურები რო არ დაიმტვრეს, მა მეჭურჭლემ რა ქნას, გულხელი დაიკრიფოს და უქმად დაჯდეს, ხო ცოლშვილი ამოუწყდა შიმშილით? კოკორაც უნდა გატყდეს და ქოთანიც, რო მეჭურჭლემ კიდევ გამოწვას, გაყიდოს და იცხოვროსო". ბებიას ნათქვამზე შვილიშვილს გაეცინება და შარშანდელი თოვლივით ... წყდება გატეხილი კოკურა.

მეც იმიტომ მეუბნება ასე ბებია მელანო, რომ არ დამედარდოს.

ბებიამ ჩურჩხელები კედელზე დარჭობილ ლურსმანზე ჩამოკიდა, წვნიკ ლებნებზე აბაჭერი ნიგოზი პარკში ჩაყარა, გადმოწმინდა მაგიდა, ლამპა შუა ადგილას დადგა და მომიბრუნდა:

— ქეთი, მოდი ამაღამ აქ დარჩი, შვილო, გარეთა წვიმს. ამ სიცივეში რიღასთვის უნდა წახვიდე? ჩვენთან კი თბილა.

მხრები ავიწურე, მოვიბუზე, თითქოს შევიგრძენი გარეთ როგორი ნესტიანი სიცივე იქნებოდა. ოთახში მივიხედ-მოვიხედე და, სიმართლე გითხრათ, დამენანა ამ სითბოს დატოვება.

ბებია ღიმილით შემომცქერის, მელოდება, რას ვიტყვი.

ვუყურებ მელანო ბებიას გაღიმებულ სახეს და ვგრძნობ, რომ არამცთუ ჩურჩხელების დარდი, წეღანდელი, შინიდან მოყოლილი ჯავრიც გულიდან გადამეყარა.

— მერე ჩვენები რას იტყვიან?..

— ნუ გეშინია, მე გავაგებინებ, რო აქა ხარ! — სარკმელი გააღო, ოთახში ჯანღი და კრამიტებიდან ჩამონადენი წვიმის წკაპაწკუპი შემოიჭრა. ბებიამ გასძახა ჩვენებს: „ამაღამ გოგო აქ იქნებაო".

— რა მალე დაიწყო წვიმები, ეს უპატრონო! ხალხს ისევ დასაკრეფი აქვს ვენახი. ახლა დამზადებაში რა ამბავი იქნება! დიდი რიგი ყოფილა. მოუკვდეს ჩემი თავი, ილოც დღეს აბარებს ყურძენს. გაცივდება ყმაწვილი ამ თავსხმაში, მაშ რა იქნება. ნეტავ პალტო არ გაატანეს? — ამბობდა თავის მაზლიშვილზე მელანო ბებია, თან ლოგინს მიგებდა.

●

— ხო არა გცივა, შვილო? თუ გინდა, კიდევ დაგახურავ რამეს? — მკითხა მოხუცმა და საბანი ამომიგო.

— არა, ბებო, სულაც არა მცივა.

— ჰო, არ შეგცივ, მატყლის საბანი დაგახურე, ოთახშიც თბილა. ამ მადლიანმა ლამპამ როგორ გაათბო აქაურობა!

იქაურობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე კი მელანო ბებიას კეთილი ღიმილი მათბობდა.

ამჟამად ჩვენი სტუმარია ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგავშვო ჟურნალი „დრაუგსი“.

გვიყვარხარ, რიგავ!

ინესსპურა,

ჟურნალ „დრაუგსის“
მთავარი რედაქტორი

გვიყვარხარ, რიგავ! გვიყვარხარ ისე, როგორც დედა უყვართ შვილებს. და იქნებ, როგორც ხანდახან შვილები დედას, ჩვენც გაწყენინებთ ხოლმე, ზოგჯერ იქნებ ვერ გაფასებთ ჯეროვნად.

გვიხარია, რომ ლამაზი ხარ. გვხიბლავს ასწლიანი იფნებით დაბურული შენი პარკები, შენი ცაცხვები და არყის ხეები, ახლახან გაშენებული ბაღები კენგარაგაში, იუგლეში, აგენსკალნის რაიონში. როცა შენი შენობების ფართო ფანჯრებში მზე იცინის, ჩვენც ვხარობთ და გული სინათლით გვევსება. ყოველ დღეს რაღაც ახალი მოაქვს: მოზარდებს კარს უღებენ ახალი სკოლები; მოხერხებული, მყუდრო ბინები ახალაშენებულ სახლებში; ახალი ტროლეიბუსის ხაზები ერთმანეთთან აკავშირებენ შენს სხვადასხვა რაიონებს. ყოფილი, უღიმღამო გარეუბნების კვალიც კი წაშლილა — იქ ახლა ულამაზესი და კეთილმოწყობილი უბნებია.

რკინიგზის სადგური, ავტოპორტი, აეროპორტი — ეს შენი ნერვებია, ჩემო ქალაქო. ისინი გაკავშირებენ ჩვენს ვრცელ სამშობლოსთან. ყოველდღე მიდიან აქედან მატარებლები და თვითმფრინავები მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევსა და მინსკში, ტალინსა და ვილნიუსში, ადლერსა და სიმფეროპოლში. რა დიდი მოვლენა იყო ჩვენთვის, როცა ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, კვამლიანი ორთქლმავლის ნაცვლად ელექტრონის მატარებელი გავიდა იურმალში! დღეს კი ელექტრომატარებლით მივემგზავრებით ტეკუმსში, საულკრატაში, ოგრეში, სწრაფ დიზელს ჩავყავართ მინსკსა და ტალინში.

ჩვენო ჭაღარა რიგავ, დღითი დღე ლამაზდები და ახალგაზრდავდები, გვიყვარხარ და გიფრთხილდებით. გვინდა შენი პარკები, სკვერები მუდამ მწვანედ ღაღანებდნენ, შენს ხეებს ტოტს არ ატეხდნენ, ბაღებში ყვავილებს არ წყვეტდნენ ცელქი ბიჭუნები. დიახ, თითოეულ ჩვენგანს ძალუძს ბევრი რამ შეჰმატოს შენს შნოსა და ლაზათს.

ყოველი შემოდგომის დამდეგს — სასწავლო წლის დაწყების დღეს მივეშურებით შენს გულში აღმართული ლენინის ძეგლისაკენ, იქ, წითელი დროშის ქვეშ დარაზმულები საზეიმოდ ვდებთ ფიცს, ვისწავლოთ და ვიცხოვროთ იმე, როგორც სწავლობდა და ცხოვრობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. ამ დაპირების შესრულება იოლი როდია. ამისათვის საჭიროა ბევრი მუშაობა, თვითდისციპლინა, კეთება იმისა, რასაც მოითხოვს დღევანდელობა.

ბელადის ძეგლთან ვიკრიბებით შენი განთავისუფლების ყოველ წლისთავზე — 13 ოქტომბერს, როცა შემოდგომის ფოთლები ოქროსფერ ხალიჩად აფენია მიწას. იმავე დღეს თავს ვიყრით საძმო სასაფლაოზე და მარადიულ ცეცხლთან მიგვაქვს ყვავილები მათთვის, ვინც აწ ვერასოდეს გაივლის შენს ქუჩებში, საყვარელო რიგავ! ყვავილებით პატივს ვცემთ იმ ადამიანების ხსოვნას, რომლებიც მოსკოვთან, სტარი რუსის ჭაობებთან ბრძოლის ველზე დაეცნენ და მათი ნეშტი 1958 წელს აქ გადმოასვენეს. ლატვიური 201-ე მსროლელთა დივიზიის კომისარი ედგარს ბირზიტისი მოსკოვის მისადგომებთან გაჩაღებულ პირველ ბრძოლაშივე დაიღუპა; ალბერტ სპალანი და იანის ცინისი ჯერ კიდევ ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილეობდნენ; 92-ე პოლკის მეთაური ლევ კირილოვი 1942 წლის მარტში, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დარჩა თავის პოსტზე, რათა თანამებრძოლებს შესძლებოდათ უკან დახევა და კვლავ საიერიშოდ მომზადება.

ოდესღაც აგენსკალნის მიდამოებში პატარა გოგონა თამაშობდა თვალხუჭუნობას, ფრენბურთს, და ნიავი უწეწდა ქერა კულულებს. დაიწყო ომი და ეს ქერათმიანი, ცისფერთვალა ქალიშვილი, რიგის მე-5 საშუალო სკოლადამთავრებული ზენტა იზოლა ლატვიელ მსროლელთა დივიზიაში მივიდა დივიზიის ჩამოყალიბების პირველ დღეებშივე. იგი იყო გამბედავი მეომარი, შესანიშნავი ამხანაგი. რა ძნელი სათქმელია ეს სიტყვა: „იყო“! ძმათა სასაფლაოზე განისვენებენ ლატვიური 43-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მზვერავები: დიდების სამი ორდენის კავალერი სპრინგისი და სხვები. მათ მშობლიური ქალაქის განთავისუფლებისათვის გაწირეს თავი. ისინი ამიერიდან ვერასოდეს გაივლიან შენს ქუჩებში, ჩემო რიგავ, მაგრამ შენთვის თავდადებულებს სწამდათ, რომ შენ მუდამ იქნები თავისუფალი, მომხიბლავი.

ოცდაცხრა წლის წინათ, როცა საბჭოთა არმია შენი ქუჩებიდან მიერეკებოდა ჰიტლერელ ოკუპანტებს, დანგრეული იყო ხიდები, ნაცარტუტად იყო ქცეული მრავალი შენობა, მაგრამ საბჭოთა ჯარმა მაინც გადაგარჩინა; ჩვენ ამას არასოდეს დავივიწყებთ, რიგავ. მტერმა ვერ შესძლო შენი აღგვა, შენ არ გწვევია ელგაზისა და რეზეკნეს ბედი. მაგრამ მაშინაც, 1944 წლის ოქტომბერში, შენ მწუხარედ გვიყურებდი ჩამქრალი, ჩამტვრეული ფანჯრებიდან, არ იყო წყალი, შუქი, სათბობი. დღეს ვერც კი წარმოიდგენს კაცი, როგორი მოღუშული იყავი. ახლა ლამაზი და მხიარული ხარ, სიცოცხლით აღსავსე ხარ და ჩვენ ვამაყობთ შენით, ჩვენ გვიყვარხარ შენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნის ეკლესია

ქან გრიეა

მოთხრობა

მხატვარი ჯ. ლოლუა

მეწამული განთიადი, რომელიც აგვისტოს მთელი ღამის განმავლობაში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოიწევდა, ბროლივით გამჭვირვალე ხდებოდა.

ამ მკრთალ სინათლეში აშკარად მოჩანდნენ ირგვლივ მდებარე საგნები: მარცხნივ — წიწვოვანი ტყე. იქვე ახლოს—აგვისტოს მზეში გაყვითლებული შვრიის ყანა; მარჯვნივ—მდინარის ციცაბო ნაპირებზე გადაშლილი მდელოები, რომელთაც გუშინ საღამოს მტრის ყუმბარებისა და ტყვიამფრქვევთა ცეცხლი აწვიმდა.

მაღალ ფლატესა და ბალახებს მიღმა ჩამალულ მდინარეზე მსუბუქი თეთრი ნისლი იწვა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს პატარა მდინარე და ნისლის თხელი ფარდა იდო საზღვრად მამულის დამცველებსა და პირსისხლიან ბანდიტებს შორის.

●

ანდრეი ცელმსი, ყოფილი რიგელი მასწავლებელი, ახლა კი ლატვიელ მოხალისეთა ბატალიონის მეთაური, ძველი, ესტონური ქარის წისქვილის სარკმელთან იჯდა და ბრძოლის ველს გაჰყურებდა. წისქვილი საიმედოდ იცავდა მეომრებს ნაღმებისა და ყუმბარებისაგან, რომელთაც მოწინააღმდეგე უხვად აყრიდა მათ. უზარმაზარი ლოდებისაგან ნაშენი კედლები ჯერ კიდევ მტკიცედ იდგნენ, ნაღმებისა და ყუმბარებისაგან მხოლოდ ხის ძველი ფრთები და სახურავი იქცა ნაფოტებად. წისქვილი კი მაინც ფეხზე იდგა, გულმაგრობდა.

„სწორედ ასე დგანან ჩემი ბატალიონის ბიჭები“, — ფიქრობდა ანდრეი ცელმსი. მის ბატალიონში უმეტესობა რიგელი მუშა-კომკავშირელები იყვნენ, რომლებსაც არა თუ სამხედრო საქმის დაუფლება, თავიანთი სპეციალობის გამოცვლაც კი ვერ მოესწროთ, მაგრამ საბჭოთა არმიის ნაწილების წინაშე, რომლებიც ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ იბრძოდნენ, პირი არ შეურცხვენიათ. ანდრეიმ პიჯაკის სახელოთი გაწმინდა რაღაც სასწაულით გადარჩენილი შეორთქლილი სარკმლის მინა და ჰორიზონტს გახედა. როგორც წესი, ქარის წისქვილი მაღლობზე იდგა, ამიტომ აქედან კარგად მოჩანდა მტრის მხარე.

საზარელი წივილითა და გრუხუნით დაეცა სადღაც პირველი ყუმბარა, დაიკაკანეს ტყვიამფრქვევებმა. „ალბათ მზვერავები დაბრუნდნენ“, — გაიფიქრა ანდრეიმ. იქვე ნახევრად დამწვარ იატაკზე ხუთნი იწვნენ: ადიუტანტი, სამი მეკავშირე და პატარა ბიჭი — მარცის ზირნისი*. ჯარისკაცები მას ცერცვის მარცისს ეძახდნენ, მაგრამ ბიჭს არ სწყინდა. ყველას ეძინა, როგორც საერთოდ სძინავთ დაღლილ ჯარისკაცებს.

„თუ არ გააღვიძებენ, ალბათ, გვერდმოუცვლელად იძინებენ ხვალ საღამომდე“, — გაიფიქრა ანდრეიმ. ახალი დღე თენდებოდა და ბატალიონის მეთაურს, უნდა მას ეს თუ არა, მათი გაღვიძება და დავალებაზე გაგზავნა მოუწევს. „არა, ცერცვის მარცისმა იძინოს, — გადაწყვიტა ბატალიონის მეთაურმა, — ჯერ თექვსმეტისაც არაა და უფრო მეტი ძილი სჭირდება, ვიდრე ბრძოლაში ნაწრთობ ჯარისკაცებს. ცერცვის მარცისი პოლკის მეკავშირეა, მაგრამ ჯერ იქ არაფერია წასაღები. აი, დაბრუნდებიან მზვერავები და...“

ანდრეი ცელმსმა ფრთხილად გააღვიძა ადიუტანტი და მეკავშირე-

* ზირნისი (ლატვ.) — ცერცვი.

ები — დავალება მისცა. ისინი სწრაფად წავიდნენ თავიანთ ასეულებში. ადიუტანტი წინა ხაზისაკენ გაემართა მზვერავთა შესახვედრად. ანდრეი კი ისევ სარკმლის მინას მიეკრა შუბლით. მინა გრილი და დაორთქლილი იყო. ანდრეი ცდილობდა მოწინააღმდეგის გეგმა გამოეცნო. „გუშინ მტერმა ამ უბანზე მარცხი იგემა და ამიტომ, საფიქრებელია, იგივეს აღარ გაიმეორებს. მტერი, ალბათ, ეცდება მარჯვნიდან ან მარცხნიდან შემოუაროს უდრეკ ესტონელ მეომრებს, — ფიქრობდა ანდრეი ცელმსი. — აქვე, ზურგს უკან, პატარა ქალაქი კოსეა, იქიდან ყოველ მხარეს მიემართება დიდი მნიშვნელობის მქონე გზები. თუ მათ ეს მანევრი გაუმართლებს, მაშინ ნაწილებს, რომლებიც მდინაოის ნაპირს იცავენ, უკანდახევა მოუწევთ, რათა ალყაში არ მოხვდნენ“. ანდრეიმ საველე ჩანთიდან რუკა ამოიღო და ადგილმდებარეობის შესწავლა დაიწყო: „ცხადია, მტერი ეცდება პირდაპირი გზით გაიჭრას ტალინისაკენ, ამიტომ სხვა მხრიდან არ უნდა ველოდეთ შეტევას“.

ცერცვის მარცისი შეიშმუშნა, გადაბრუნდა და პირაღმა დაწვა — ალბათ გვერდი დაუბუჟდა. ახლა უკვე კარგად ჩანდა მისი ბავშვური სახე, მოკუმული ტუჩები, ფრონტზე შეფერთხილი ფორმის ტანსაცმელი და ქუდი, რომელიც კეფაზე მოქცეოდა. ქუდსქვემოდან მარცისს სელისფერი თმები ჩამოშლოდა. ხელი თოფისათვის შემოეხვია და ისე მშვიდად ეძინა, თითქოს შინ იყო, მშობლებთან. „საკვირველი დამთხვევაა“, — სიყვარულით დასჩერებოდა ბიჭს ანდრეი ცელმსი, ცერცვის მარცისი მისი სკოლის მოსწავლე იყო და ბატალიონში მოხვდა არა ლატვიაში, არამედ ესტონეთში: სტუმრად ჩამოსულიყო სალასგრივში მცხოვრებ მებადურ ბიძასთან. ომის პირველსავე დღეს ესტონეთში გაიქცა. გზაში ბევრჯერ დააკავეს ფაშისტებმა, მაგრამ გაუშვეს, რადგან ვერაფერი საეჭვო ვერ შენიშნეს. და აი, ერთ ღამეს, ბრძოლის შემდეგ, ცერცვის მარცისმა გადალახა ფრონტის ხაზი და მოვიდა ბატალიონში, რომელსაც მისი მასწავლებელი მეთაურობდა. მართლაც საოცარი დამთხვევა იყო!

„აი, შე პატარა ცერცვო! როგორც კი შესაძლებლობა იქნება, ზურგში გაგაგზავნი, აქ ყველგან კვალდაკვალ დაგსდევს ხიფათი!.. პოლკის მეკავშირეობა, რა თქმა უნდა, არ არის ისე სახიფათო, როგორც მოწინავე ხაზზე ბრძოლა. მაგრამ აქაც ყოველ ნაბიჯზე სიკვდილია ჩასაფრებული. დიახ, ზურგში გაგაგზავნი, ცერცვო, პირველი შესაძლებლობისთანავე გაგაგზავნი! შენი მასწავლებელი ვარ და სიკვდილთან თამაშის უფლებას არა და არ მოგცემ“.

ცერცვის მარცისი შეინძრა, წამოიწია და თვალები დაჭყიტა.

— მასწავლებელო, არის თუ არა

დავალება? მგონი დიდხანს მეძინა, ყველანი წასულან...

ანდრეი ცელმსმა გაიღიმა:

— იძინე, იძინე, თუ საჭირო იქნება, მე თვითონ გაგაღვიძებ. ერთიც დაიხსომე, ნუ მეძახი მასწავლებელს, მე ახლა მეთაური ვარ.

— მაპატიეთ, ამხანაგო მეთაურო, — იმართლებდა თავს მარცისი. — რატომ მიფრთხილდებით? მეც ხომ აღარ ვარ თქვენი მოსწავლე მეგობარი, ამხანაგო მეთაურო, ყველაფერს შევასრულებ!

— რომ არ გენდობოდე. პოლკის მეკავშირეც არ იქნებოდი ასეთ პასუხსაგებ უბანზე... წესრიგშია თუ არა შენი ველოსიპედი?

— დიახ, ამხანაგო მეთაურო, — მხედრულად უპასუხა მარცისმა. — ჯერ კიდევ გუშინ შევამოწმე. წავიდე?

— როცა ადიუტანტი დაბრუნდება, მაშინ წადი. — უპასუხა მეთაურმა. — ახლა კი, რახან ადექი, ისაუზმე კიდეც, რომ მერე დრო არ დაკარგო.

მარცისმა აიღო პურის ნაჭერი, გახსნა კონსერვი. ორივენი ჩუმად ჭამდ-

ნენ და უსმენდნენ, როგორ იღვიძებდა ფრონტი. მოწინავე ხაზზე აფეთქდა ნაღმი და აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები. ჭერიდან მიწა და მტვერი ჩამოცვივდა. მარცისი ჯერ შეკრთა, მერე გული გაიმაგრა და განაგრძო ჭამა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... მოულოდნელად მის სელისფერ თმებში უზარმაზარი ობობა ჩავარდა. ბიჭმა თითებით დაიჭირა და იატაკზე დააგდო.

— საზიზღრობაა! არ მიყვარს ობობა.

— რატომ? — ჰკითხა მეთაურმა.

— ობობები სვასტიკას მახსენებენ, ფაშისტების დროშებზე დახატულს.

— მეც, — ღიმილით დაეთანხმა მეთაური, — მაგრამ ობობები აქ არაფერ შუაში არიან: ისინი ბუზებს ანადგურებენ, ფაშისტები კი — ხალხს. განსხვავება არის?

— რა თქმა უნდა, განსხვავება არის, — მადიანად ჭამდა დაკონსერვებულ ხორცს მარცისი, — მაგრამ მე... ობობებისა მეშინია.

ის იყო კარი შემოაღო ადიუტანტმა, რომ ყუმბარის აფეთქებისაგან მიწა იძრა... ამჯერად სახურავს მოხვდა. ზემოთ რაღაც გატყდა და ხმაურით ჩამოვარდა.

ადიუტანტმა ცნობა მოიტანა: მზვერავებმა ღამით გერმანელთა გადაჯგუფება შენიშნესო. ეს ადასტურებდა ანდრეი ცელმსის ვარაუდს, რომ გერმანელებმა გადაწყვიტეს, რადაც უნდა დაჯდომოდათ, ტყით გაჭრილიყვნენ და კოსე დაეკავებინათ. ეს ქალაქი ქარის წისქვილიდან რამდენიმე კილომეტრით იყო დაშორებული.

ამ მანევრის შესახებ სასწრაფოდ უნდა ეცნობებინათ პოლკის შტაბისათვის. სანამ ცერცვის მარცისი წასასვლელად მოემზადებოდა, მეთაურმა შტაბის უფროსის სახელზე პატაკი შეადგინა.

— წაიღე ეს პაკეტი, და რაც შეიძლება სწრაფად. — უბრძანა მეთაურმა მარცისს, — შემდეგ კი საჩქაროდ დაბრუნდი.

— გისმენთ! არის წავიღო პაკეტი და საჩქაროდ დავბრუნდე.

— კარგია, ცერცვო, — თქვა მეთაურმა და ბიჭს მხარზე ხელი მოუთათუნა. — წადი, გელოდებით.

მარცისმა თოფი ზურგზე მოიგდო, შეხტა ველოსიპედზე და ღონივრად დაეწვა სატერფულებს. იქვე ახლოს, მარცისის ზურგს უკან, ზარბაზნის ჭურვი აფეთქდა, მარცისმა არც კი მოიხედა. ის მიჰქროდა, გეგონებოდათ ქარი მიერეკებაო. მალე ბიჭი გაყვითლებული შვრიის ყანაში მიიმალა.

როგორც კი კოსე-ტალინის გზატკეცილს მიაღწია, მარცისი შეჩერდა და რუკაზე გზას დაუწყო ძებნა, რომელიც ტყეზე გავლით უფრო სწრაფად მიიყვანდა პერილის ახლოს ხშირ ტყეში განლაგებული პოლკის შტაბამდე. მარცისმა მალე იპოვა რუკაზე ტყის ბილიკი, მაგრამ გადაწყვიტა არ წასულიყო ამ გზით — იგი ოღრო-ჩოღრო და ტალახიანი იყო. კოსეს გზატკეცილი არჩია.

მზიანი, წყნარი დილა თენდებოდა. წინა ხაზზე ნაღმსატყორცნთა გრიალი და ბრძოლის ქუხილი რომ არა, იფიქრებდით, მარცის ზირნისი მდინარისაკენ მიიჩქარის წინა ღამეს ჩაკიდებული ანკესების ამოსაღებადო. ასეთ ღამეებში კი ანკესს კარგად ეკიდება ქაშაყი.

„თუ გერმანელებმა არ მოკლეს ბიძაჩემი, მაშინ ახლა, ალბათ, სალასგრივას ნავსადგომთან თევზით სავსე ბადეები ამოაქვს ზღვიდან. რიგაში კი დედა საუზმეს უმზადებს მამას და ჩქარობს, რომ მამამ არ დააგვიანოს სტამბაში მისვლა, სადაც უკვე დიდი ხანია მუშაობს. „მაინც რა ეშმაკად დაგვესხნენ თავს გერმანელები?— ეკითხებოდა თავის თავს მარცისი. — ახლა ხომ არ მომიწევდა თევზაობაზე ოცნება — სკოლის შემდეგ ხელში ანკესი და, ჰაიდა, დაუგავაზე“...

კოსე პატარა ქალაქი იყო. გერმანელთა არტილერია დაცარიელებულ ქუჩებსა და სახლებს დროგამოშვებით აყრიდა ყუმბარებს. აქა-იქ ზეცისათვის მიეპყროთ ღია ხახა ნანგრევებს. მტრის მხრიდან საზარელი ხმაურით მოფრინავდნენ ბომბსაზიდები. მარცისი უფრო ენერგიულად დააწვა ველოსიპედის სატერფულებს, რათა ჩქარა გაევლო პირქუში ქალაქის დაობლებული ქუჩები. როგორც კი ქალაქი მოითავა და მდინარეს მიადგა, ზურგს უკან გამაყრუებელი აფეთქების ხმა მოისმა. მარცისმა გახედა ქალაქს, მტვრისა და ბოლის უზარმაზარი ღრუბელი მიწევდა აგვისტოს კამკამა ცისაკენ. „რა კარგია, რომ მოსახლეობამ დროზე დატოვა ქალაქი, თორემ...“

ხიდის შემდეგ მარცისი ჩამოხტა ველოსიპედიდან, ჩავიდა მდინარესთან და დუბელა, თბილი წყლიდან წყურვილი მოიკლა. მერე სახეზე შეისხურა. ხიდის ქვეშ, წყლის სიღრმეში მიმოქროდნენ ლიფსიტების გუნდები. მარცისმა იცოდა, რომ ხიდების ქვეშ ყველაზე მსხვილი თევზი იყრის თავს. აფსუს რომ ომია და ამ გრუხუნმა დააშინა თევზები, თორემ კარგი მეთევზე აქ მდიდარი ნადავლით დაიტვირთებოდა, — მარცისმა სინანულით გადააქნია თავი და ქვიშიან გზატკეცილზე გააქროლა ველოსიპედი. პოლკის შტაბამდე კიდევ ხუთი კილომეტრი იყო დარჩენილი.

მარცისმა ჩააბარა პაკეტი, ახალი ბრძანება მიიღო და უკან, ძველთაძველი წისქვილისაკენ გაეშურა. „საინტერესოა, ნეტავ რას აკეთებს ახლა ჩემი მასწავლებელი? არა, მასწავლებელი კი არა, მეთაური... რა ბედნიერებაა, თავის მასწავლებელს რომ შეხვდა, თორემ სხვა არავინ ანდობდა ასეთ პასუხსაგებ დავალებას..“

მიუხედავად იმისა, რომ ველოსიპედის თვლებქვეშ ქვიშა ხრაშუნობდა და მთელი გულისყურით გზას გაჰყურებდა, მარცისმა მაინც იგრძნო, რომ მოწინავე ხაზზე რაღაც ცვლილება მოხდა. ომის ხმა უფრო ახლოდან ისმოდა. შესაძლოა, ფრონტის ხაზმა უკვე კოსესთან გადმოინაცვლა. „იქნებ გერმანელებმა ალყაში მოაქციეს ჩვენი ბატალიონი? ან იქნებ ჩვენებმა უკან დაიხიეს? მაშინ როგორღა ვიპოვი მეთაურს, ანდრეი ცელმსს? თუ წინ უკვე გერმანელებია, ჩვენებთანაც ვეღარ მივალ. მაშინ რა ვუყო პოლკის უფროსის ბრძანებას? ვაითუ დამიჭირონ და წამართვან გერმანელებმა პაკეტი? არა! დაჭერით ვერ დამიჭერენ, მაგრამ“... იგი ფიცხლად ჩამოხტა ველოსიპედიდან და მიწაზე დაჯდა. ქუდიდან ქაღალდი გამოიღო, ფეხსაცმელი გაიხადა და მის წვერში ჩამალა. „თუ შემთხვევით ხელთ ჩავუვარდი გერმანელებს, არავის მოუვა აზრად, რომ ფეხსაცმლის წვერში საიდუმლო ბრძანება მაქვს ჩამალული, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შემიძლია გამოვიღო ქაღალდი, დავხიო და სილაში ჩავფლა“. — ფიქრობდა ბიჭი.

კოსეს ახლოს გააფთრებული ბრძოლები იყო, ამიტომ მარცისი ძველი გზით აღარ წავიდა წისქვილისაკენ. გადაუხვია გზიდან და ტყის ოღრო-ჩოღრო ბილიკს დაადგა. იგი უფრო მოკლე იყო, თანაც ქალაქი-

დან საკმაოდ მოშორებით გადიოდა მდინარეზე. „თუ ხიდი არ იქნა მდინარეზე, გავცურავ, — გადაწყვიტა მარცისმა.—მეთაური უთუოდ მოუთმენლად ელოდება ჩემს დაბრუნებას, ამიტომ უნდა ვიჩქარო, ვიჩქარო“...

მდინარის ახლოს მარცისი შეჩერდა, ბუჩქებში დამალა ველოსიპედი. მხრიდან კარაბინი-თოფი მოიხსნა და ჩახმახზე შეაყენა, შემდეგ ცოცვით გაძვრა წინ — ხიდის მისადგომები უნდა დაეზვერა. მარცისი გადარბოდა, ეფარებოდა ხეებს, ბუჩქებს. მალე ხიდიც გამოჩნდა, მაგრამ... ხიდზე უკვე ორი გერმანელი ჯარისკაცი იდგა. ცხადი გახდა — მარცისს უნდა მიეტოვებინა ველოსიპედი და მდინარე გადაეცურა. დაბრუნდა ტყეში და იქიდან მდინარესთან ისეთ ადგილას გავიდა, საიდანაც ხიდი არ ჩანდა. ფეხსაცმლის წვერიდან პაკეტი ამოიღო და ისევ ქუდის ქვეშ დამალა, წყალში შევიდა, მარცხენა ხელით თოფი ასწია და, მიუხედავად იმისა, რომ წყალი საკმაოდ ღრმა იყო, მარცისმა ჩქარა მიაღწია მეორე ნაპირს, ცოცვით შეძვრა შვრიის ყანაში და ასე ყანა-ყანა სიარულ-ფორთხვით გორაკზე მდგარი დაბურული მუხის ქვეშ ამოყო თავი. აქედან კარგად მოჩანდა ძველი წისქვილი. ბიჭმა ცოტა შეისვენა, მერე კვლავ ხიდს გახედა, იქ ისევ ის ორი გერმანელი იდგა. მუხას მოფარებულმა მოიმარჯვა თოფი, ტოტზე საიმედოდ ჩამოდო, სუნთქვა შეიკრა, დაუმიზნა და ესროლა. ერთი ჰიტლერელი ხიდის ძელებზე დაეცა, მეორე — მოაჯირს მოეფარა და ტყეს მიაყარა ავტომატის ტყვიები.

მარცისმა კვლავ ჩახმახზე შეაყენა თოფი, დაუმიზნა და ესროლა, მაგრამ ამჯერად უმტყუნა თვალმა მიზანს... გერმანელი ხიდიდან გადახტა, მდინარის ფლატეს ამოეფარა და გორაკს დაუშინა ტყვიები. მარცისმა ისევ გატენა თოფი, მაგრამ არ უსროლია — იქ გაჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. მეთაური ელოდებოდა. „წაიღე წერილი, შემდეგ სასწრაფოდ უკან!“ — ზარივთ რეკდნენ ეს სიტყვები ბიჭის ყურებში. მართალია, ცოდვა იყო კარგი ველოსიპედის დატოვება, მაგრამ სხვა გზა არ იყო — ველოსიპედიანად, ვერ გადავიდოდა მდინარეზე...

ბატალიონი ისევ ძველ პოზიციაზე იდგა. ჩანდა, მტერს ტყეზე გაერღვია ფრონტის ხაზი. მარცისი მთელი ძალით გარბოდა. როცა წისქვილს მიაღწია, სუნთქვაც კი შეეკრა დაღლილობისაგან... შევარდა მეთაურთან, მოიხადა ქუდი და ბრძანება გადასცა, კიდევ უნდოდა ეთქვა ველოსიპედზე და მოკლულ გერმანელზე, მაგრამ ვერ შეძლო. მეთაურმა შეხედა ბიჭს, ხელი მოხვია, მკერდზე მიიკრა, თითებით სელისფერი თმები აუჩეჩა, თვალებში ჩახედა და უთხრა:

— აი, შე ცერცვის მარცისო! ნამდვილი ვაჟკაცი ხარ, ნამდვილი!..

თარგმნა **მაია გუსარემ.**

ჩემო ლატვია!

იანის გალოდისი,
ქ. რიგის 45-ე საშუალო
სკოლის მოსწავლე.

მთებზეც, ველებზეც,
მდინარის პირას,
ჯადოსნურ ფერებს ვეძებ ყოველთვის...
იქნებ დავხატო ეგ შენი დილა,
იქნება გავხდე შენი პოეტი.
შენ ალბათ სხვისთვის მხოლოდ ველი
ხარ,
ან მხოლოდ ზღვა და ქერის მარცვალი,
მე კი... შენს გამო ბედნიერი ვარ,
ჩემო სამშობლოვ, შენ გენაცვალე.
მე შენი მიწის ნაღდი ფესვი ვარ,
სიხარული ვარ შენი ბორცვების...
იქნებ სხვა მხარე უკეთესია,
მაგრამ უშენოდ ვერ ვიცოცხლებდი.
სხვისთვის რა არის — შენი ცინცხალი
წყარო, მდინარე...
კიდევ ბევრი რამ.
ყველაფრისათვის, ყველაფრისათვის,
ჩემო მამულო, მადლობელი ვარ.
ჩემია შენი ზღვა და ხმელეთი,
შენი ფიჭვნარი, შენი ყანები...
და მთლად უსაზღვროდ
და გახელებით,
ჩემო ლატვიავ, გეთაყვანები.
სადარდებელი რა მაქვს ნეტავი,
შენს ბუდეში ვარ და ავხმიანდი.
მწყურია შენი მინდვრის ნექტარი,
და მშია შენი ჭვავის ხმიადი.
შემყვარებია შენი ნისლეთი,
ჩუმი შრიალი შენი თელების
და თუ მიყვარხარ —
შენ ხარ ისეთი —
სავსე მზითა და ციცნათელებით.
ზოგჯერ ნეკერჩხლის ფოთოლს მაგონებ,
შოთხვის ყვავილიც შენი მსგავსია.
შენს ტყეს და მინდორს
და შენს მთა-გორებს,
შენს ყოველ კენჭსაც—ოქროს ფასი აქვს.
შენ ბრწყინავ,
ლაღობ შენი შვილებით,
რომლებიც თავის სულსაც გაძლევენ...
და ვერაფერი, ამ შუქ-ჩრდილებით,
ჩემი გულიდან ვერ გაგაძევებს.
მე შენი თაფლი გულზე მაცხია
და თავთავებით პეშვი ავივსე...
ღმერთი აგაცდენს დღეებს მარცხიანს,
დავეწაფები მაგ შენს აისებს.
...შენი მუხის რკო,
შენი მინდვრის რძე,
თაფლი, პური და... კიდევ ბევრი რამ —
სულს მიხალისებს,
როგორც დილის მზე
და ყველაფრისთვის მადლობელი ვარ.

თარგმნა **ნოდარ ნარსიამ.**

ავტობუსის გაჩერებასთან.

ლაიმონის ერმანის, IV. კლ. მოსწავლე.

იანის რაინისი

*

დიადმა შუქმა, შობილმა ბნელში,
აღანთო ჩემი ხალხი ტანჯული.
გათენდა დილა უზადო ეშხით
და შორეთს დარჩა მწარე წარსული.

მზით დაფერილი გამოჩნდა შარა,
ჩემი მამულიც ამ გზას მიჰყვება,
მან დიდ ოჯახში მხრები გაშალა,
სიმღერა მისი ცაში ირხევა
და ემატება დღითი დღე ძალა.

ლაიმონ ვაცზემნიეკი

იქ, სად გული ფეთქავს ჩემი

მეჩვენება: თითქოს ისევ,
იქ, სად გული ფეთქავს ჩემი,
სულ ჩახჩახებს, სულ გიზგიზებს
ალისფერი ყელსახვევი.

მე ხომ გულში მოვათავსე
სამშობლოის ცა და მიწა;
დაუგავაც, მოკისკასე,
ამ გულშივე გადაირწა.
მე ხომ გულით ვუსმენ ლენინს,
განთიადის ლამაზ ბრწყინვას.
ბორგავს, ბორგავს უსვენებლივ
გული — წრფელი, პაწაწინა.

და გულთან კი, როგორც წინათ,
კვლავ კაშკაშებს ყელსახვევი,
ჩემს პარტიულ ბილეთშიაც
შარიშურობს შუქის ფრქვევით.

წლები ჰქრიან, მაგრამ ვიცი:
სანამ გული არის ცხელი,
მკერდში მუდამ იგიზგიზებს
ყელსახვევი ალისფერი.

ვალდის ლუკსი

მდინარეები მიჰქრიან ზღვისკენ

ქართველს ალაღებს მშფოთვარე
მტკვარი,
მე — გაუია, კრავივით წყნარი.
ხელთ როცა რტონი მიჭირავს შოთხვის,
მყის ვიძემელად[1] ვიქცევი თითქოს.
გაიზინკალნი[2] დამხედავს შორით
და გული უმალ გაფრენას ითხოვს.
ჰაიასტანში სევანი მკაცრი
უნერგავს სომეხს მხნეობას ხალასს.
და სევანს რაზნა[3],
როგორც კაცს-კაცი,
უთვლის ღიმილით მეგობრულ სალამს.
სიკარგე მუდამ ახარებს სხვისი
მას, ვინც დასძლია გზა ეკლიანი,
ჩემს ჰანგებშიაც ამიტომ ისმის
სხვათა ტბების თუ ხეთა შრიალი.
ო, ვოლგა, ვოლგა — ჯანღონე რუსის
რა ღრმად, მგზნებარედ უმღერის
რუსეთს!
ვადიდებ მეც ჩემს
ზემგალეს, კურსას,
და ლიელუპეს[4] ყვავილებს ვუსმენ.
დუ დაი დაი![5]
ლატვიავ — დედავ,
მე შენზე მაღალ
სიმღერას ვბედავ.
უეცრად... მესმის... ათასი ხალხი
ბანს მეუბნება თავ-თავის ხმაზე:
— იყავ, ლატვიავ, მარადჟამ ლაღი,
იყავ ბედნიერ, დოვლათით სავსე!
და რა ჩაესმით სიმღერა ძმური,
მდინარეებიც იწყებენ როკვას
და რბიან ზღვისკენ
ამაყი გულით
მტკვარი, ამური, დნეპრი თუ ვოლგა...

თარგმნა ს. შამფრიანმა.

---

[1] ვიძემე — მხარე ლატვიაში.
[2] გაიზინკალნი — მთა ლატვიაში.
[3] რაზნა — ტბა ლატვიაში.
[4] ზემგალე, კურსა, ლიელუპე — მხარეები ლატვიაში.
[5] დუ დაი დაი — მისამღერი.

12.178

სახელი განმეორებული

ზოლა ზლაგოპოლსკი

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

ლატვიაში ბევრზე ბევრია საბჭოთა მეომრების სისხლით მორწყული ადგილები. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხის შვილები — ლატვიელები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ქართველები, ყაზახები და სხვანი მხარდამხარ, მამაცურად ერკინებოდნენ აქ ფაშისტ დამპყრობლებს, სიცოცხლეს არ იშურებდნენ მშობლიური მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის.

გააფთრებული ბრძოლებით იქნა განთავისუფლებული ქალაქი ბაუსკა. ახლა ამ ქალაქში, საძმო საფლავზე, თავდადებულ მებრძოლთა უკვდავების ობელისკებად ჩამწკრივებულან პატარ-პატარა სვეტები. მათზე წარწერილია გმირულად დაცემული ამა თუ იმ მეომრის სახელი. ერთ-ერთ ობელისკზე ვკითხულობთ: „საბჭოთა კავშირის გმირი აბიბო შიშინაშვილი“.

ვინ იყო აბიბო შიშინაშვილი, როგორ დაიღუპა მზიური საქართველოს შვილი ლატვიის მიწაზე, რის გამო მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება?

ოფიციალური დოკუმენტები ძუნწად ლაპარაკობენ დაღუპული გმირის საბრძოლო საქმეებზე, და მაინც, თუ ყურადღებით წავიკითხავთ მათ, ჩვენს წინ მთელი თავისი სიდიადით აღიმართება რაინდული სულის, მამაცი, სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული ადამიანი.

უფროსები, ამხანაგები და ჯარისკაცები პატივს სცემდნენ აბიბო შიშინაშვილს — ასეულის შესანიშნავ მეთაურს, ჩინებულ ორგანიზატორსა და მებრძოლთა აღმზრდელს, შეუპოვარ მეომარსა და გულითად ვაჟკაცს. აბიბოს ხასიათი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ორმოცდაოთხი წლის სექტემბრის იმ დღეებში, როცა მისი ასეული ბაუსკას განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

ჰიტლერელებმა მძლავრ თავდაცვით ზღუდედ აქციეს ქალაქი. ჩვენი ჯარის მოიერიშე ძალებს შეუპოვარი ბრძოლების გადატანა უხდებოდათ მოწინააღმდეგის თავდაცვაში შესაღწევად. უფროსი ლეიტენანტის აბიბო შიშინაშვილის ასეული ზურგში, პოლკის მეორე ეშელონში იმყოფებოდა. მაგრამ შეეძლო კი აბიბოს—მტკიცე ნებისყოფისა და პრაქტიკული მოქმედებით გამორჩეულ ოფიცერს — მხოლოდ ლოდინით დაკმაყოფილებულიყო?

„იქნებ შეიძლება შეტევაზე გადასულ ამხანაგებს დავეხმარო მტრისთვის სადმე, ზურგში დარტყმით?“ — არ ასვენებდა ეს ფიქრი ასეულის მეთაურს. და აი, მზვერავებს დაავალა გერმანელთა ზურგისკენ გასაძვრომი ზოლი მოეძებნათ.

— არის ასეთი ზოლი, — მოახსენეს დაზვერვიდან დაბრუნებულებმა. — მართალია, ძალზე სახიფათოა, მაგრამ მაინც შეიძლება იქ გაძვრომა.

— რაკი შესაძლებელია, უნდა ვცადოთ. — გადაწყვიტა მეთაურმა.

და აი, შიშინაშვილის ასეული ფარული გზით, უჩუმრად მიემართება მტრის თავდაცვისაკენ, შედის გერმანელთა ზურგში და ჰიტლერელებს მოულოდნელ რისხვად ევლინება. მოწინააღმდეგის რიგებში არევდარევაა... შიშინაშვილის ასეული სპობს სამოცდათხუთმეტმილიმეტრიანი ქვემეხების ბატარეას, მუსრავს ქვეითებს

ჰიტლერელები ცდილობენ თავდასხმის ადგილისაკენ რეზერვის გადაყვანას. მაგრამ აბიბო შიშინაშვილი მარტო მამაცი მეომარი როდი გახლდათ, იგი პოლკში საზრიან მეთაურადაც იყო ცნობილი. მან ამჯერადაც წინასწარ გაითვალისწინა, რას მოიმოქმედებდა მტერი. მისმა მებრძოლებმა დროულად გადაუჭრეს გზა ფაშისტთა მაშველ ნაწილებს.

ასზე მეტი ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი დაწვა ბრძოლის ველზე, შიშინაშვილის ასეულმა კი ხელთ იგდო მდინარეზე გადასასვლელები და მამელის მეორე ნაპირზე გამაგრდა. ამ პლაცდარმიდან მთელ დივიზიას შეეძლო შეტევის გაშლა.

მაგრამ პლაცდარმის მახლობლად განლაგებულ მტრის არტილერიას ჯერ კიდევ აქვს საშუალება ხელი შეუშალოს ამ შეტევას, გაუძნელოს ჩვენებს პლაცდარმის გამოყენება. ეს იცოდა ასეულის მეთაურმა და ამიტომ გადაწყვიტა წინსვლის შეუნელებლად შეემუსრა მტრის საარტილერიო პოზიციები.

ჯარისკაცთა საბრძოლო აღტყინება ჯერ კიდევ არ დამცხრალა. გამარჯვებით ფრთაშესხმულნი ახალი ძალით ეკვეთნენ გერმანელთა ბატარეებს. ფაშისტი არტილერისტები არ მოელოდნენ დარტყმას. მათი ნაწილი საბჭოთა მებრძოლების ტყვიის წერა ხდება, სხვები გაქცევით შველიან თავს. ასეულს ოთხი ქვემეხი და სამი ნაღმსატყორცნი რჩება ნადავლად.

ამ გამარჯვების წყალობით გადაჭრილია უმნიშვნელოვანესი გზა, მთავარი მაგისტრალი. ახლა აუცილებელია მისი შენარჩუნება, სანამ ჩვენი ძირითადი მოიერიშე ნაწილები მოვლენ. ამიტომ ასეული თავდაცვაზე გადადის.

მაგრამ ეს ხომ მაინც ერთი ასეულია — პატარა რაზმი მოზღვავებულ მტერთან შედარებით. თანაც ბრძოლა ბრძოლაა—ზოგი კვდება, ზოგი იჭრება და მწყობრიდან გამოდის... შიშინაშვილის ასეულში ცოტანი დარჩნენ. ნუთუ იმიტომ დასდეს თავი მებრძოლებმა, რომ სისხლით მოპოვებული მტერს დაუთმონ? „არასოდეს!“— ამბობს უფროსი ლეიტენანტი. „არასოდეს!“ — იმეორებენ მეთაურის ფიცს ჯარისკაცები.

ჰიტლერელებს ეს მაგისტრალი ჰაერივით სჭირდებათ და ზედიზედ გადმოდიან კონტრიერიშზე. გერმანელები ჩვენებზე გაცილებით ბევრნი არიან, ტყვია-წამალიც მეტი აქვთ. ამის მიუხედავად, ასეულის მებრძოლები მაინც უმკლავდებიან გააფთრებულ მტერს.

— ნაღმები გაგვითავდა, — აცნობეს უფროს ლეიტენანტს, — რა ვქნათ?

— არ შედრკეთ! — ამხნევებს თანამებრძოლებს მეთაური. — ჩვენს ხელთ არის მტრის ნაღმსატყორცნები. ვფიქრობ, ნადავლი ნაღმები გამოდგება ჰიტლერელების „პატივსაცემად“. აბა, ბიჭებო, ვცადოთ!

და აჰა, ნაღმები ზუსტად მიფრინავენ მათი ყოფილი პატრონებისაკენ...

გერმანელთა კონტრშეტევები კი მეორდება და მეორდება. ასეულის რიგები თანდათან თხელდება, მაგრამ ცოცხლები მაინც ფეხმოუცვლელად დგანან. ამასობაში ჩვენმა ძირითადმა მოიერიშე ძალებმაც მოაღწიეს...

აბიბო შიშინაშვილის ასეულის გმირობამ დიდად შეუწყო ხელი შეტევის წარმატებას და ლატვიის კიდევ ერთი ქალაქი, ბაუსკა, განთავისუფლდა ფაშისტი-დამპყრობლებისაგან.

უფროსი ლეიტენანტი შიშინაშვილი კი... როგორც ოფიციალური დოკუმენტები იუწყებიან, ამ ბრძოლაში გმირულად დაღუპულა. მაგრამ ეს მხოლოდ ოფიციალური ცნობაა. მასთან ერთად ხალხური თქმულებაც არსებობს. ბაუსკელებს არ დავიწყნიათ და არც არასოდეს დაავიწყდებათ თავიანთი გამათავისუფლებლები. მათზე ლეგენდებს ჰქმნიან.

ამბობენ: მძიმედ დაჭრილი შიშინაშვილი კიდევ დიდხანს დარჩა მწყობრში, ბოლოს კი, სისხლისაგან დაცლილი, უგონოდ დაეცა მიწაზე. შემდეგ ერთი გლეხის ქოხში გაახილა თვალები. კეთილმა ადამიანებმა ოფიცერი გრძნობაზე მოიყვანეს, სისხლი მოჰბანეს, ჭრილობები შეუხვიეს. დილით ასე უთქვამს:

— ძმებო, ძალ-ღონე მელევა, ვგრძნობ, ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩენია. მაგრამ არ შემიძლია ისე მოვკვდე, მზეს ერთხელ კიდევ არ შევხედო. გარეთ გამიყვანეთ, პირით აღმოსავლეთისაკენ დამაწვინეთ — უკანასკნელად გავიხედავ მშობლიური კუთხისაკენ — საქართველოსაკენ.

შეუსრულეს გმირს უკანასკნელი სურვილი. სწორედ იმ წუთს ლატვიის ცაზე ამოგორდა შემოდგომის თბილი, ალერსიანი მზე. მის სხივებში გახვეული იწვა უფროსი ლეიტენანტი და სანამ გული უძგერდა, იყურებოდა იმ მხარეს, საითაც საქართველო ეგულებოდა.

ბაუსკის მცხოვრებლები სათუთად ინახავენ დაღუპული ლეგენდარული გმირის წმიდათაწმიდა ხსოვნას. მის ობელისკთან არასოდეს ჭკნებიან ყვავილები, რომელთაც ბაუსკელები უვლიან. ქალაქის მოსწავლეებს მიწერ-მოწერა აქვთ შორეული საქართველოს სოფელ ხვანჭკარის რვაწლიანი სკოლის პიონერებთან. ამ სკოლაში სწავლობდა აბიბო შიშინაშვილი. ახლა იქ, ხვანჭკარაშიც კარგად იცნობენ ლატვიის ქალაქ ბაუსკას, რომლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაეცა ქართველი ხალხის ღირსეული შვილი. მისმა დაღვრილმა სისხლმა განამტკიცა ეს მეგობრობა. მეგობრობაზე ძლიერი კი ამქვეყნად არაფერია.

ბაიბა პურინია,
ქ. რიგის 28-ე საშუალო
სკოლის მოსწავლე.

თეთრი ჯასმინი

ყვავილობის ჟამს მხიბლავს ნარცისიც,
გულდაცვარული, გულმკერდგახსნილი.
სხვა ყვავილებიც....
მაგრამ არც ისე,
როგორც ეს სალასპილსის ჯასმინი.
ვეღარ ვშორდები ამ ბუჩქს ადვილად,
ვუმზერ და...
სულში დარდი თოვდება,
თავისი ბედით,
მას სხვა ვარდი რამ,
ალბათ ვერცერთი გაუტოლდება.
ის ხომ ამ ადგილს ადრეც ჰყვაოდა,
ომში მებრძოლებს ახალისებდა...
ახლა აქ ძმათა სასაფლაოა
და ემატება ყვავილს ღირსება.
ასე მგონია, თითქოს ღონდება,
ისე მიყურებს ზოგჯერ ფერმკრთალად...
ალბათ ვიღაცა მოაგონდება
და მასზე ფიქრობს მერე ერთთავად.
...ახლა ის გმირთა ხსოვნას მფარველობს,
ისევ იმ ზღაპრულ ფერით აღვსილი...
ამიტომ გვიყვარს,
ჩემო მთა-ველო,
ეს სალასპილსის თეთრი ჯასმინი.

თარგმნა **ნოდარ ნარსიამ.**

ვიესპურ რიბაკი

ჩემი წელიწადი
ეს ბინდია

მსურს ხელისგულზე დავიწურო თეთრი ღრუბელი,
მსურს ხელისგული გამჭვირვალე ცვარით ავივსო
ეს მზის სხივები, გამრუჯავი და დამბუგველი
მე მინდა გულში შევინახო სამარადისოდ.

მინდა შევცურდე გაყვითლებულ ფოთლების ზღვაში.
მინდა დავიხრჩო ცის სიღრმეში და ჩავიძირო.
თივის ბუმბულზე გავიშოტო გულალმა ბავშვი
და ჩემს თვალებში ანთებულმა დღემ გაიცინოს.

საკუთარ თმაში დავიჭირო გრილი ნიავი,
ღია თვალებში შევისხურო წყალი მდინარის,
მეგობრის ცქერა მინდა ვიგრძნო ალერსიანი,
მსურს ყველას ვუთხრა სიტყვა ტკბილი და უწყინარი.

ხელისგულებში მოვამწყვდიო მინდა ეს დილა,
ხელისგულებში შევინახო ცვრები — მზეები...
სულს ყინვიანი ღამეებიც ვერ დამითრთვილავს,
ნირს ვერ შემიცვლის უმზეური, ცივი დღეები.

თარგმნა **ტაბუ მებურიშვილმა.**

ჰეკლიის ისტორიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა საქსე

მხატვარი **ბ. ფოცხიშვილი**

ზღაპარი

ეს ამბავი იმ საშინელ დროს მოხდა, როცა ადამიანებს ურჩხულებისა და ალქაჯების ეშინოდათ. თუ ბინდისას ბუხარში ქარი იწყებდა წივილსა და გუგუნს, ეს ნიშნავდა, რომ ურჩხულმა ალქაჯი გამოგზავნა დასაზვერავად და ამიერიდან ამ ოჯახის ერთ-ერთ წევრს საფრთხე ემუქრებოდა.

ერთ ღამეს ქარმა იმ სახლის ბუხარში დაიწყო წივილი და სტვენა, რომელშიც პერსია ცხოვრობდა თავისი ცხრა ვაჟით. თქვენ, რა თქმა უნდა, უკვე იცით, რასაც ნიშნავს ეს —ურჩხულებმა მოისურვეს ოჯახის დედის მოტაცება (სხვა ქალი ამ სახლში არ იყო). მაგრამ ამის ნებას როგორ მისცემდნენ შვილები — ნუთუ ცხრა ვაჟკაცი ურჩხულებს გაატანდა საყვარელ დედას?

ვაჟებმა მოილაპარაკეს, რიგრიგობით ჩავუსაფრდეთ იმ ქაჯსა და ეშმაკს, სხვებმა კი ჩვეულებრივ სამუშაოდ ვიაროთო. ასეც გააკეთეს. სანამ დედას უფროსი შვილები დარაჯობდნენ, საქმე კარგად მიდიოდა. მაგრამ აი, დადგა მეცხრე დღე და შინ დარჩენა ყველაზე უმცროსს მოუწია.

იგი საკმაო ხანს იდგა ეზოში, გაჰყურებდა ბუხრის მილს... ბოლოს, დაიმედებულმა, რომ არავინ ემუქრებოდა მის დედიკოს, სადილობა გადაწყვიტა... სწორედ ამ დროს ჭიშკრიდან სიცილი შემოესმა. ბიჭი მიბრუნდა და ეზოს შემოსასვლელში ლამაზი გოგონა დაინახა, მკერდზე წითელი ყაყაჩო ჰქონდა მიბნეული, იღიმებოდა. „ახლოს მოდიო“, — დაუქნია ხელი გოგონამ, შემდეგ ისიც ანიშნა: „სჯობს უხმლოდ მოხვიდე, ეგ იარაღი არ მომწონსო“. ბიჭმა შეუსრულა თხოვნა და ახლოს მივიდა. და აი, აქ მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო — გოგონამ სიცილი და ანცობა დაიწყო, კაბაზე მიბნეული ყაყაჩო ბიჭს ცხვირთან მიუტანა — ნახე, რა სურნელოვანიაო.

ჭაბუკმა, რა თქმა უნდა, დაკარგა ყვავილი. ერთბაშად ძილი მოერია და მხოლოდ ამის დანახვაღა მოასწრო: ყურისწამღები ხმაურით, სტვენა-ქშენით მოვარდა ურჩხული, მოიტაცა მისი დედიკო და სადღაც გააქროლა... ის ლამაზი გოგონა კი ალქაჯად იქცა, მოაჯდა ცოცხს და ჰაიდა!..

დიდი ხნის შემდეგ ჭაბუკს გაეღვიძა. „რა უნდა ვუთხრა ძმებს?“ — ფიქრობდა იგი. ბოლოს გადაწყვიტა: მოეძებნა ურჩხულის ადგილსამყოფელი, რადაც უნდა დასჯდომოდა, გამოეხსნა თავისი დედიკო და ამით გამოესყიდა დანაშაული. შემოირტყა წელზე ხმალი, აიღო პურის ნაჭერი და გზას გაუდგა.

იარა, იარა უმცროსმა ვაჟმა. ერთგან გზის პირას ჩამომჯდარი დაღლილი მოხუცი დაინახა.

შეევედრა მოხუცი:

— შემიბრალე, შვილო, იქნებ პური გაქვს...

— მოგცემ პურს, ბაბუ, — უთხრა ბიჭმა, — მხოლოდ მითხარი, ხომ არ დაგინახავს, რა მხარეს წაიყვანა ურჩხულმა ჩემი დედიკო?

მოხუცმა სამხრეთისაკენ გაიშვირა ხელი — აი, იმ მხარესაო, მერე პურის ნაჭერი გამოართვა და გემრიე-

ლად შეექცა. ბიჭი კი ჩქარი ნაბიჯით გაემართა სამხრეთისაკენ.

იარა, იარა, ორი დღე იარა და ისევ იქ, თავის ძველ ნაცნობ მოხუცთან მივიდა.

— შვილო, შენს გახარებას, — შესთხოვა მოხუცმა, — პატარა ორმო ამომითხარე და ვაშლის ხე ჩამირგე. ვაშლი მინდა, მაგრამ ხის დარგვის ძალა აღარ შემწევს.

ჭაბუკმა ხმლით ამოთხარა მიწა, ვაშლის ხე დარგო და შეენუკვა: ურჩხულის ადგილსამყოფელისაკენ გზა მიმასწავლეო.

მოხუცმა ახლა ჩრდილოეთისაკენ გაიშვირა ხელი.

ჭაბუკმა იარა, იარა და ისევ იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც მოხუცი იჯდა. მოხუცი კი კვლავ შეეხვეწა:

— ქოხში გველი შემომეჩვია და ეგებ მოკლა, თორემ შიშით ველარ დამიძინია...

ჭაბუკი შევიდა მოხუცის სახლში, დაუდარაჯდა გველს და ხმლით მოჭკვეთა თავი.

— ახლა მაინც ნუ მომატყუებ, მითხარი, საით წაიყვანა ურჩხულმა დედაჩემი.

მოხუცმა უთხრა:

— სამჯერ შევამოწმე შენი გაზრდილობა, შრომისმოყვარეობა და გამბედაობა. ახლა კი ვხედავ, კარგი შვილი გაუზრდიხარ დედას. წადი, შვილო, დასავლეთის გზით იარე. სადაც დაინახავ, რომ ფულებს აშრობენ, იქვე ახლოს ურჩხულის გამოქვაბულია. მხოლოდ ნუ იფიქრებ, რომ ის იოლად დაგიბრუნებს შენს დედიკოს — მძიმე ბრძოლა მოგიწევს, შვილო, მაგრამ გასწავლი ჯადოსნურ სიტყვებს, რომლებიც დაგეხმარებიან სამჯერ გარდაიქმნა იმად, რადაც ისურვებ. ოღონდ დაიმახსოვრე — მესამე სურვილი შემოინახე ბოლოსთვის, რათა კვლავ ადამიანად იქცე.

ჭაბუკმა დაიმახსოვრა ჯადო სიტყვები და დასავლეთისაკენ გასწია. იარა მთელი დღე და ნახევარი ღამე, შუაღამისას დაინახა, რომ იქვე ახლოს ცისფერი შუქი ციმციმებდა — ფული შრებოდა! „ესე იგი, აქვეა ურჩხულის გამოქვაბული, საბრძოლველად უნდა შეეემზადო!“ — გაიფიქრა ჭაბუკმა.

ხმლის ვადა ჩაბღუჯა და ცისფერი შუქისაკენ გაემართა. მაგრამ არცთუ დიდი მანძილი ჰქონდა გავლილი, რომ ჭაობში ჩავარდა. განსაცდელში მყოფმა დაინახა, რომ წელში მოხრილი ვიღაც მოხუცი უახლოვდებოდა. მაგრამ, ნუთუ, ნუთუ?!. დიახ, ეს მისი საყვარელი დედიკო იყო, ფულებით სავსე მძიმე ყუთს მიათრევდა.

შვილმა ხმა მიაწვდინა დედას... ის კი შეშინდა და ტირილი დაიწყო:

— შვილო, რად წამოხვედი ჩემს საძებნელად! ამ ჭაობიდან ჯერ არავინ ამოსულა ცოცხალი. სჯობდა, მარტო მე დავტანჯულიყავი.

— არა, დედიკო! ჩემი ბრალია, რომ ურჩხულმა მოგიტაცა, ამიტომ მევე უნდა დაგიხსნა. ჩაჯექი ამ ყუთში. მე მდინარედ ვიქცევი და ჭაობიდან გაგიყვან.

შვილმა უამბო, როგორ შეხვდა მოხუცს და რა ისწავლა მისგან. დედა ჩაჯდა ყუთში, ბიჭი იქცა მდინარედ და ყუთი ტალღებზე ქანაობით გაცურდა.

ურჩხულმა შენიშნა, რომ მისი მონა-ქალი პერსია გაიქცა და დაედევნა. მდინარე კი დიოდა და დიოდა. მაგრამ აი უბედურება: დაიწყო ქვიშნარი ველი და წყალიც გაქრა. რა ქნას დედა-შვილმა?

— დედიკო, მე ცხენად ვიქცევი, შენ კი შემაჯექი და ფაფარს მოეჭიდე. ხელად გადავირბენთ ამ ქვიშიან მდინარეს, — თქვა ბიჭმა და შესანიშნავ მერნად იქცა, ქარივით გააქროლა მხედარი. ურჩხული თავს არ ანებებდა, ქარივით უკან მისდევდა და იქნებ ვერც დასწეოდა, რომ დედა-შვილის წინ ახალი დაბრკოლება არ აღმართულიყო. — მინდვრის ბოლოში ღრმა არხს მიადგნენ. — იმოდენა იყო, ვერც გადაახტებოდი და ვერც შემოუვლიდი.

— შვილო, იქეცი ადამიანად და შენ მაინც დაიმალე არხის ფსკერზე, — შეეხვეწა დედა. მაგრამ შვილს ამისი გაგონებაც არ სურდა.

— ცხრა შვილი გყავართ, შენ კი ერთი დედა ხარ ყველასათვის, გადავიქცევი ყვავილის ბუჩქად და ჩემს ტოტებში დაგმალავ.

ბიჭი თვალის დახამხამებაში იქცა იასამნის ლამაზ ბუჩქად, დედამისი პერსია კი მის ტოტებში დაიმალა. წუთის მერე ცეცხლის ფრქვევით ჩაიქროლა ურჩხულმა.

პერსიის იასამანი....

რამდენ ბაღსა და ეზოს ამშვენებს ეს ლამაზი ყვავილი დღეს მსოფლიოს ყოველ კუთხეში!..

თარგმნა მაია გუსარემ.

ᲣᲙᲣᲔᲭᲘᲡᲐ

ᲒᲘᲕᲘ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ

ᲞᲘᲔᲡᲐ ᲝᲠ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ

მხატვარი ᲔᲓ. ᲐᲛᲒᲝᲙᲐᲫᲔ

(ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲗ)

ამ პიესის დადგმა არ გაგიჭირდებათ, თუ საქმეს გულისყურითა და ინტერესით მოეკიდებით.

მოქმედ პირთა კოსტიუმები შეიძლება ფერადი ქაღალდისაგან ან მიტკლისაგან შეიკეროთ. დეკორაცია, რომელიც ძირითადად ბაღჩა-ბოსტნის ამსახველ საგნებს (ღობე, ჭიშკარი, სარები, ფოთლის ქოლგები და სხვა) საჭიროებს თქვენვე უნდა დაამზადოთ. ამაში უთუოდ სკოლის ხელმარჯვეთა წრე დაგეხმარებათ.

თუ სპექტაკლს მუსიკით, ცეკვებითა და სიმღერებით გაალამაზებთ, წარმოდგენა უფრო მომხიბვლელი და ხალისიანი იქნება.

ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲘᲠᲜᲘ:

ᲑᲣᲗᲥᲐ—ᲪᲘᲧᲕᲘ
ᲔᲙᲐᲚᲐ—ᲖᲚᲐᲠᲑᲘ

ᲧᲘᲧᲘ, ᲧᲣᲧᲣ, ᲧᲝᲧᲝ } ᲑᲐᲧᲐᲧᲔᲑᲘ

ᲕᲘᲨᲕᲘᲨᲐ, ᲬᲕᲔᲢᲐ, ᲙᲘᲙᲜᲐ } ᲡᲢᲐᲤᲘᲚᲝᲔᲑᲘ

ᲑᲔᲧᲘᲐ—ᲒᲝᲒᲠᲐ

ᲮᲝᲠᲙᲚᲘᲐ, ᲬᲕᲜᲘᲙᲐ } ᲙᲘᲢᲠᲔᲑᲘ

ᲞᲐᲛᲘᲓᲝᲠᲐ—ᲞᲐᲛᲘᲓᲝᲠᲘ
ᲑᲝᲚᲝᲠᲙᲐ—ᲑᲝᲚᲝᲠᲙᲘ
ᲭᲐᲠᲮᲐᲚᲐ—ᲭᲐᲠᲮᲐᲚᲘ
ᲞᲘᲚᲞᲘᲚᲘ—ᲬᲘᲬᲐᲙᲐ
ᲪᲠᲣᲛᲖᲘᲡᲐ—ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲐ

ᲙᲣᲢᲙᲐᲚᲘᲐ, ᲡᲙᲣᲞᲘᲐ } ᲙᲐᲚᲘᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲑᲝᲠᲑᲐᲚᲐ
ᲜᲘᲐᲕ-ᲥᲐᲠᲘ

ᲭᲠᲔᲚᲐ, ᲤᲐᲠᲤᲐᲢᲐ } ᲞᲔᲞᲚᲔᲑᲘ

ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲨᲘ ᲐᲑᲠᲔᲗᲕᲔ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲔᲑᲘ, ᲑᲕᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ, ᲬᲕᲘᲛᲘᲡ ᲬᲕᲔᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ტუისპირი, რომელსაც ბაღჩა-ბოსტანი ემიჯნება. ღრუბლიანი დღეა. ბილიკზე ეკალა — ზღარბი გამოჩნდება, ღიღინ-ღიღინით მოაბიჯებს, თან ჯოხზე ასხმული ქამა სოკოები მოაქვს. წინ ყიყი გადაეღობება.

ᲧᲘᲧᲘ — **(თავზარდაცემული)** ძმაო, ეკალ, რომ იცოდე
რას შევესწარ ტბასთან გუშინ,
უნდა გითხრა...

ᲔᲙᲐᲚᲐ — **(აწყვეტინებს)**
კარგს რას მეტყვის
შენისთანა ბაიყუში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიყი — **(შეშფოთდა)**
მზე ლურჯ ტბაში ჩაიძირა,
ეს გუშინლამ მე თვით ვნახე.
იცი, როგორ შემეშინდა...
შიშით ახლაც მაცახცახებს.
ეკალა — შე სულელო, რა გაშინებს,
მზე ჩადის და კვლავ ამოდის.
ყიყი — დღეს რატომ არ ამოვიდა,
ნისლში ძლივს ჩანს მთა და კორდი.
მზე დაიხრჩო, დამიჯერე,
ცას ამიტომ არ გვიშუქებს.
(ტირის)
ვიშვიშა — **(აქამდე ღობეზე იყო აყუდებული და გაფაციცებით უგდებდა ყურს მათ საუბარს)**
ვაი, ეს რა გავიგონე!
დავიღუპეთ! დავიღუპეთ!
ეკალა — **(ყიყის დამშვიდებას აპირებდა, მაგრამ ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო)**
უტვინოა, რას გაუგებ!
სჯობს, მივხედო ჩემს ზღარბუკებს.
(გადის)
ვიშვიშა — **(შეშინებული)**
მზე ლურჯ ტბაში ჩაიხრჩოო,
მაშ უმზეოდ როგორ გავძლებთ?!
ჩვენებს ვეტყვი... მაგრამ არა,
არ მსურს ვიყო ცუდის მაცნე.
აგერ პილპილს შევაპარებ,
მაინც მწარე ენის გახლავს.
ძმაო, პილპილ, ვერ გაიგე,
იმ ყიყინამ რა თქვა ახლა?
პილპილ, ისევ ფიქრებში ხარ?
მტერი დარჩა შენს იმედად.
პილპილი — ჰო, რა მოხდა?
ვიშვიშა — გამოფხიზლდი,
ჩვენს ყიყინას ვერა ხედავ?
პილპილი — ვხედავ, მერე რაო, რა გსურს?
ვიშვიშა — ტირის...
პილპილი — რატომ? რა აწუხებს?
ვიშვიშა — მგონი ზღარბმა აწყენინა,
აბა, ერთი, აქეთ უხმე!
პილპილი — **(ყიყის)** — საყვარელო ბაღჩის მცველო,
რა გატირებს, მოდი გვითხარ,
იქნებ რამე დაგეხმაროთ...
ყიყი — რათა ვტირი? ნუ იკითხავთ!
ტყეში უკვე ყველამ იცის.
გესმით ფრინველების გლოვა?
ხმები: — ვაი, ეს რა დაგვემართა!
მზე არასდროს არ ამოვა!
პილპილი — რაო, მზე არ ამოვაო?!
ვიშვიშა — მაშ, უმზეოდ როგორ გავძლებთ!!
ყიყი — ტირილსა სჯობს, ეს ამბავი
რომ ვაცნობო დროზე და-ძმებს. **(გარბის)**
ვიშვიშა — **(გოგრას ასძახის)**
ისევ გძინავს? გაიღვიძე!
პილპილი — ჰეი, ბეყი!
ბეყია — **(იღვიძებს)**
ჰო, რა გინდა?
ვიშვიშა — ვაი, ვუი!
ბეყია — რას ვიშვიშებ!
თქვი, რა ბზიკი მოგაფრინდა?
ვიშვიშა — რა ვქნა! რა ვქნა! ძმაო ბეყი,
მზე ლურჯ ტბაში ჩავარდნილა!
ბეყია — **(გაოცებისაგან პირი დააღო)**
ჩავარდნილა?!
ვიშვიშა — ჰო, დამხრჩვალა...
ბეყია — მზე დამხრჩვალა?!
ვიშვიშა — კი, ნამდვილად!
ცას ახედეთ, დილაა და
როგორ იხვევს ავდრის ღრუბლებს.
წვეტა — აწი წვიმებს რა გაუძლებს!
ბეყია — ვიღუპებით?
ვიშვიშა — დავიღუპეთ!
პილპილი — **(ყველას ამშვიდებს)**
მე კი ვფიქრობ ცხრათვალა მზე
კვლავ ეწვევა მთებს და სერებს.
მას, რაც თვალი არ გინახავთ,
ასე უცებ რად იჯერებთ?
ხორკლია — **(შემოდის თავზარდაცემული)**
თქვენს გოდებას ყური მოვკარ,
მართალია რაზეც ტირით?
ბეყია — ჯერ თავზე არ დაგვტყდომია
ამისთანა გასაჭირი!
ვიშვიშა — უმზეობით ჩამოვჭკნებით!
ხორკლია — სულ დავლპებით!
ბეყია — სულ დავდნებით!
კიკანა — და ჩვენ აღარ გვეყოლება
სათამაშოდ ძმები, დები!
ვიშვიშა — ვაი, ეს რა დღე დაგვიდგა!
წვნიკა — ქორფა კიტრებს რაღა დაგვზრდის?!
ბეყია — აწი ჩემგან არ დარჩება
არც ფოთოლი, აღარც ბარდი!
(მზესუმზირა, რომელიც აქამდე ჩამოყვინთული იდგა, შეირხა, ბაღჩის ბინადართა ყაყანს დააყურადა)
მზესუმზირა — ნეტავი რა ახმაურებთ?!
დილის ტკბილ ძილს რად მიფრთხობენ!
ოხ, ეს ცელქი კიტრუნები,
დაძვრებიან ღობე-ღობე!
(შემოდიან თვალცრემლიანი პამიდორა, ჭარხალა, ბოლოკა და ბაღჩა-ბაღის სხვა მცხოვრებლები)
პამიდორა — რაღაც უნდა მოვიფიქროთ,
რომ გადარჩეს ჩვენი ბაღჩა!
ვიშვიშა — მზე თუ მართლა დაიღუპა,
სასიცოცხლო რაღა დაგვრჩა!
ჭარხალა — წყლად ვიქცევით მიწაშივე!
ბოლოკა — გვერდებს რაღა დაგვიმსხვილებს!
პილპილი — **(ჩაფიქრებული)**
ნუთუ მართლა გაგვწირავს და
არ მოგვაწვდის ცა მზის სხივებს...
მზესუმზირა — **(გახარებული)**
მზე სხივებს არ მოგვაწვდისო,
ჩუ! ყველაფერს კარგად ვხვდები.
დროა, ჩემო ოცნებებო,
რომ გაშალოთ ლაღად ფრთები!
ეს ამბავი სულაც არ მწყინს,
მეყო მაღლა-მაღლა ცქერა.
განა მზეზე ნაკლები ვარ,
ვინ შემხედავს ალმაცერად!
ამ ბაღჩაში ჩემი ჯიშის
ერთადერთი მე ვარ მარტო.
მზე არასდროს ამოვაო,
რახანია ამ დღეს ვნატრობ!
ბაღჩის ბინადარნი ერთხმად გოდებენ:
— ვაი! ვაი! რა დრო იყო,
მზე — ძვირფასი ჩვენი დედა,
როცა შვილებს საალერსოდ
ფერად-ფერად სხივებს გვფენდა.
ახლა რა ვქნათ, რა ვიღონოთ!
ვუი, რა დღე გაგვითენდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზესუმზირა — კარგი, გეყოთ, რა გატირებთ!
აქ არ გყავართ — შვილი მზისა?
შემომხედეთ, მე თუ არა,
სხვას ვის ჩათვლით ტახტის ღირსად?
ალვასავით მაღალი ვარ
და გვირგვინიც მადგას თავზე,
თავის საქმის გამგრძელებლად
მე დამტოვა ცხრათვალა მზემ!

(ყველანი გაოცებით აკვირდებიან...)

ვიშვიშა — შეხეთ, მართლა გვირგვინი აქვს!
გეყია — მზის სხივებსაც აფრქვევს თითქოს...
ხორკლია — რა კოხტა და ლამაზია!
პილპილი — ლამაზია, მაგრამ სითბო?!
სითბოს თუ არ გვიწილადებს,
გვირგვინს ისე რა ფასი აქვს?
მაგისთანა მზესუმზირა
აგერ გაღმა ათასია...
პამიდორა — ჯერ აცალეთ გამეფება...
ჭარხალა — სულწასული რად ხართ ნეტავ?!
გეყია — გვჯერა, მალე ამზევდება
იმ ცხრათვალა მზეზე მეტად.
ხორკლია — გაიშლება...
წვნიკა — აყვავდება...
ვიშვიშა — და მინდორ-ველს მოჰფენს სითბოს...
პილპილი — პატარძალი როგორია
ბოლოს უნდა მოიკითხოთ.
ვიშვიშა — თქმა რად უნდა, არ ეტყობა,
რა საამურ სურნელს აფრქვევს...
ხორკლია — ის მზე ციდან ანათებდა,
შენ კი მზეობ ჩვენთან, აქვე...
გეყია — შენი სხივთა ელვარება
მალე ყველას ფესვს გაგვითბობს.
პილპილი — **(უფრო ხმამაღლა)**
პატარძალი როგორია
ბოლოს უნდა მოიკითხოთ.
ვიშვიშა — ნეტა ასე რად ბუზღუნებ?!
პილპილი — მიკვირს თქვენი უჭკუობა.
მზესუმზირა — **(ვიშვიშას)** რაო, რა თქვა?
ვიშვიშა — არაფერი,
ამშვენებსო მწვანე ქობა.
კიკნა — ტანშოლტი ხართ...
ჭარხალა — გულმოწყალე...
ბოლოკა — მთელი ქვეყნის
ოქროდ ღირხართ...
პამიდორა — ენატკბილი...
ბოლოკა — და მეც გატყობთ,
დიდი ჭკუის კოლოფი ხართ.
მზესუმზირა — **(გაამაყებული და ნასიამოვნები)**
გმადლობთ, ბოსტნის ბინადარნო,
თვალი ცრემლით დამინამეთ.
თქვენ რად სდუმხართ, ბრძენო პილპილ?
ბოლოკა — **(ჩუმად)** თქვი რაიმე, შენც აამე!
(მზესუმზირას) მზეთამზეო, ვატყობ, სიტყვებს
ვერ პოულობს თქვენს საკადრისს.
(პილპილს) სიბრძნეს აქ ნუ გამოიჩენ,
არვინ იცის მაგის ყადრი.

(პილპილს ხელს უჭიკავებენ და მზესუმზირას წინ მიუგდებენ)

პილპილი — ენამწარე პილპილი ვარ,
მაგრამ მაინც მე თუ მკითხავთ,
პატარძალი როგორია
ამას ბოლოს მოვიკითხავ...
გეყია — ნეტავი რას აიჩემე,
ეგ ანდაზა ჩირად არ ღირს'
მზესუმზირა — გააგრძელე! გააგრძელე,
ძლიერ მიყვარს სიბრძნე ხალხის.
პილპილი — მეტი რა ვთქვა...
მზესუმზირა — არ მოგწონვარ?
თქვი არ დაგსჯი, სიტყვას გაძლევ!
ბოლოკა — **(ყურში უჩურჩულა)**
არ გაბრიყვდე!
პილპილი — არა გიშავთ,
მზესუმზირას პირობაზე...
მაგრამ რაც ხართ, ამას მალე
დაგვანახებს დრო და ხანი.
ისე, მერცხლად ვერ იქცევა
ვერც კიტრი, ვერც ბადრიჯანი...
ყველა ერთხმად — ხედავთ, რა თქვა!
მზესუმზირა — აჰა, მესმის...
მაშ კიტრები მიხმეთ აქეთ!

(ხორკლია და წვნიკა მზესუმზირას წინ დაემხობიან.)

ხორკლია — აქ ვართ, აქ ვართ, მბრძანებელო.
წვნიკა — წელახ აკი ბევრი გაქეთ!
მზესუმზირა — ჩემო ხორკლავ, ჩემო წვნიკავ,
გნიშნავთ მეფის ვეზირებად!
დღეის შემდეგ, გწამდეთ, კიტრი
ათჯერ მეტი ეღირება!
ხორკლია — გმადლობთ, გმადლობთ, მბრძანებელო!
წვნიკა — ვაშა!
ბოლოკა — ვაშა! ჩვენს ახალ მზეს **(დახტის, ყირაზე გადადის)**
მზესუმზირა — **(მკაცრად)** ყურადღება! მომისმინეთ!
შეასრულეთ, რაც მაქვს წესად!
(ბოლოკას) შენ ჯამბაზად გამოდგები.
(ჭარხალას) შენ მეღვინეთუხუცესად!
გეყია — მე, მეფეო?
მზესუმზირა — მზარეულად!
ვიცი, რომ გაქვს კარგი მადა!
პამიდორა — მე მეფეო, ისე მტოვებთ?!
მზესუმზირა — გნიშნავ ჯარის მთავარსარდლად!
კარტოფილებს, სტაფილოებს
ჩაამწკრივებ ჭიშკრის ახლოს...
მოგსპობთ, ქარი ამ ბაღჩაში
ერთხელაც რომ დავინახო!
(კიტრებს) ჰო, დანარჩენს თქვენ გაბარებთ,
მიუჩინეთ ყველას საქმე,
ვინც ჩემს კანონს არ დაიცავს,
ამოძირკვეთ და გააქრეთ!
ყველა ერთხმად — გვესმის, გვესმის, მზეთამზეო!
გეყია — შეგისრულებთ დანაპირებს.
ახლა ისეთ სუფრას გავშლი,
რომ სუყველას გავაკვირვებ.
ხორკლია — საზეიმო სჭექეთ აბა,
ამ დღის მომსწრე რადგან გავხდით,
ჩვენს მზეთამზეს, დიდ დედოფალს
დავულოცოთ ოქროს ტახტი!

(საყვირებს ჩაჰბერავენ. შემოდიან მოცეკვავენი. იმართება დიდი ნადიმი და გართობა)

ვიშვიშა — **(პილპილს)** ყველას საქმე მიუჩინა,
მხოლოდ მე და შენღა დავრჩით...
პილპილი — ეჰ, რას იზამ, არ გვენდობა
დედოფალი ჩვენი ბაღჩის...
ნუ ცხარდები, ჩემო დაო,
დროს თავისი მსჯავრი მოაქვს...
როცა მზესუმზირა მზეობს,
დღე კი არა, სალამოა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიშვიშა — მაშ ჩვენ რა ვქნათ! ასე დავრჩეთ,
ვემსახუროთ სულელ კიტრებს?!
არა, არა, ამას, ძმაო,
ვერ მოვითმენ, ვერ მოვითმენ!
პილპილი — **(იცინის)** ვერ მოითმენ!
რა გამოვა,
აქ რომ კვნესა-ოხვრა მოვრთოთ?!
ვიშვიშა — მაშ რა წყალში გადავვარდეთ?
პილპილი — ხვალინდელ დღეს დაველოდოთ.

ფარდა

სურათი მეორე

(ფარდის წინ შემოდიან დაღლილ-დაქანცული მგზავრები. სიცივისაგან აბუზულნი ძლივს მოაბიჯებენ)

— ნეტავ, ბევრი დაგვრჩა კიდევ?
— ბორცვზე უნდა გადავიდეთ...
— ნისლში, ძმაო, გზა სულ არ ჩანს.
— ჰა, მივედით, რაღა დაგვრჩა!
— მითხარი, რას უწოდებენ
იმ ბაღჩა-ბაღს?
— მზიურ ბაღჩას... **(გადიან)**
ჭრელა — ფარფატელავ, ვკვდები, შვილო!
ფარფატა — რა ვქნა, დედა, რა გიშველო?!
ჭრელა — სჯობს დამტოვო ჩემთვის, მარტო...
შენ გაფრინდი, არ იდარდო.
ყვავილნარში მითხრეს დილით...
სუ, გაჩერდი, ნულარ ტირი!
ბაღჩა არის თურმე, სადღაც,
თავს გვირგვინად სულ მზე ადგას.
ამ მინდორში ვინც კი არის,
ყველა იქით მიიჩქარის.
მეც აქამდე იმ გზას ვადექ
და აი, შენც დაიბადე...
ჯერ ციცქნა ხარ, მაგრამ მჯერა,
რომ მზეს ნახავ უეჭველად.
მე ჩემი დღე სულ მზის სხივზე
ოცნებაში გავატარე,
დაიხსომე ესეც ბარემ,
ახლა შენ ხარ ჩემი მზე და
ხვალინდელი დღის იმედიც...
ფარფატა — **(ტირის)** არა! არა! არა, დედი!
აქ დავრჩები, აქ შენს გვერდით.
მერე ძალას რომ მოიკრებ...
ჭრელა — ჩქარა, წადი იმ ბაღჩისკენ
და შეიგნე, პაწაწინავ,
რაც დედაშენს ერგო წილად,
არ მინდა რომ შენც ის გერგოს —
წვიმა, ნისლი...
ფარფატა — კარგი, გეყო!
ჭრელა — ვკვდები, მაგრამ იმ მზეს ვხედავ... **(კვდება)**
ფარფატა — ვაი, დედავ! ჩემო დედავ!
სად წავიდე, აღარ ვიცი,
ჩემთვის აწი ვინ მოიცლის?!

(შემოდიან კუტკალია და სკუპია. თავინთი ბარგი-ბარხანა ზურგზე აუკიდიათ და მზიური ბაღჩისკენ მიემგზავრებიან. სკუპია უეცრად პეპელას მოჰკრავს თვალს და შეშინებული უკან ისკუპებს)

კუტკალია — მანდ ვინა ხარ?!
ფარფატა — პეპელა ვარ...
კუტკალია — პეპელაა, შვილო სკუპავ.
სკუპია — რაზედ ტირის? **(უახლოვდება და მოწყენილი მიაჩერდება)**

ფარფატა — სიცივისგან გზაზე დედა დამეღუპა...
კუტკალია — **(ოხვრით)** სულ სამი დღის იყო, მაგრამ
კარგად მახსოვს ჩვენი ჭრელა.
(ფარფატას ეფერება)
შენ უთუოდ დილით გაჩნდი,
პაწაწინა ფარფატელავ...
რას გიშველის ბევრი დარდი,
ნუ ივიწყებ მშობლის წადილს,
იმედად ხომ შენა ჰყავდი...
არ გაფლანგო უქმად ეს დრო.
ის მზის ნახვას ვერ მოესწრო,
სამ დღეს ცოცხლობს თქვენი გვარი.
აგერ მოჰქრის ნიავ-ქარი.
ნიავს გავყვეთ, აბა, მარდად,
თორემ უკვე ჩამოღამდა...
ნიავ-ქარი — **(შემოდის)** ფარფატელას რა აცრემლებს?
კუტკალია — დედას ჯავრობს, შემოვევლე!
დაგვეხმარე, ნიავ-ქარო,
იქნებ მიწას მიაბარო...
ნიავ-ქარი — **(ჭრელას ხელს წაავლებს)**
ყვავილნარში გადავიტან,
იქ დავმარხავ ამ პეპელას,
თქვენ კი წადით, გზას გაჰყევით...
კუტკალია — კარგი, ვივლით ნელა-ნელა.
(ნიავ-ქარი ჭრელას გაიყვანს და გავა. კალიები ფარფატელას ეფერებიან და ამშვიდებენ)
კუტკალია — ადე, შვილო!
სკუპია — დროა, ადექ!
კუტკალია — გზა დიდია იმ ბაღჩამდე!
სკუპია — მომეც ხელი. ფარფატელავ,
და გავთბებით, შენც ხომ გცივა...
კუტკალია — თქვენი ნატვრა ასრულდება,
იმ ბაღჩაში როცა მივალთ.
(სიმღერას წამოიწყებს
და სკუპიასაც აიყოლიებს)
კუტკალიებს ძლიერ გვიყვარს
სიმღერა და თამაშიო,
თავდაყირა გადავდივართ
თავთუხელა ყანაშიო,
ეს დრო გვინდა გავატაროთ
ცეკვასა და ჭამაშიო...

ფარდა

დასასრული შემდეგ ნომერში



ეჭვი ლიგელი

რუთა ბეროძე

მოვდივარ, მომიხარია

ამ წიგნის მთავარი გმირი ბონდო პატარიძე მეხუთე კლასის მოსწავლეა. მას ფიზიკური აღნაგობის გამო ამხანაგებმა მეტსახელად „დონდოლა“ შეარქვეს. მაგრამ ბონდომ მა-

ლე ისე აიყარა ტანი, რომ სიმაღლეში სხვებს გაასწრო კიდეც. ახლა არც „დონდოლაა“ იგი და არც გვარი შეეფერება უწინდებურად. მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვაა — ბონდო ობოლი ბიჭია, დედა დიდი ხნის მკვდარი ჰყავს, მამა კი... სამხედროა და ახალი ოჯახით შორეულ აღმოსავლეთში იმყოფება...

ბონდო თავის ამხანაგებთან შედარებით ხელმოკლედ ცხოვრობს. მას უამრავი დაბრკოლება შეხვდება გზაზე, მაგრამ ფარ-ხმალს როდი ყრის — მამაცურად ებრძვის გაჭირვებას. რაც მთავარია, ბეჯითად სწავლობს და აღმზრდელ ბებიას ეხმარება.

ასე მიდის დღეები... და აი, ერთხელ დიდი ამბავი მოხდება ბონდოს ცხოვრებაში: ბაზარში შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოსულ მამას მოჰკრავს თვალს... დაბნეული და დაფეთებული ბიჭი დაედევნება, ველარ შენიშნავს ქუჩაში მომავალ მანქანას და...

თუმცა, უმჯობესია თქვენ თვითონ წაიკითხოთ ეს წიგნი ბოლომდე, მოუსმინეთ ბონდოს, რომელიც მოგიყვებათ თავის თავგადასავალს... დარწმუნებული ვართ, აუცილებლად შეგიყვარდებათ მწერალ რუთა ბეროძის მიერ შესანიშნავად დახატული თქვენი ჯბილა ბიჭი — ყოფილი „დონდოლა“, ბონდო პატარიძე.

შოთა გოგატიშვილი

სახალისო გეოგრაფია

ხშირად მოსწავლეებმა შორეულ ქვეყნებზე მეტი იციან, ვიდრე თავის მშობლიურ მხარეზე. ბევრი ზეპირად ჩამოთვლის ამერიკის შეერთებული შტატების ორმოცდაათსავე შტატის, ანდა. იაპონიის კუნძულების სახელებს.

ამავე დროს, სამწუხაროდ, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თავის გარემომცველ ბუნებაზე. რა თქმა უნდა, ამერიკის ან სხვა ქვეყნების ცოდნა კარგია, მაგრამ პირველ რიგში ჩვენი გარემო უნდა შევისწავლოთ, ამიტ ხომ შორეული მხარეების შესწავლაც გაგვიადვილდება!

სწორედ ამ მიზანს ისახავს „ნაკადულის“ მიერ გამოცემული წიგნი — „სახალისო გეოგრაფია“.

აი, რა მარტივი, თითქოს ნაცნობი და ამასთანავე საინტერესო კითხვებია მოცემული წიგნში. მაგალითისათვის მოვიყვანთ რამდენიმე მათგანს:

1. რომელია კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი, შხარა თუ იალბუზი? რატომ არის, რომ სხვადასხვა შემთხვევაში უმაღლეს მწვერვალად ხან შხარას ასახელებენ, ხან კიდევ იალბუზს?

2. რატომ უწოდებენ შავ ზღვას ორსართულიანს?

მრავალ მსგავს კითხვაზეა გაცემული პასუხი ამ საინტერესო წიგნში. წაიკითხავთ და ფრიად კმაყოფილი დარჩებით —მშობლიური მხარის შესწავლა და შეყვარება ხომ სულიერადაც ამდიდრებს და ამაღლებს ადამიანს.

მიწისძვრა ღუკვეთილ?



რამდენად ხშირია ბუნების ეს მრისხანე მოვლენა? ცხადია, საქმეში ჩაუხედავი კაცი დიდად გაიოცებს, როდესაც გაიგებს, რომ დედამიწაზე დღე და ღამეში არაერთხელ იძვრის. ამასთან მათგან ორი-სამი დაახლოებით იმავე ძალისაა, როგორიც ტაშკენტისა იყო.

აბა, როგორღა ხდება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვცხოვრობთ ამ პლანეტაზე, ჯერ კიდევ არ დანგრეულან ქალაქები, განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებიც სეისმურად საშიშ რაიონებად არიან ცნობილი?

იშვიათია შემთხვევა, როცა მიწისძვრის ეპიცენტრი ზუსტად ქალაქის ქვეშაა, როგორც ეს ჩვენში 1966 წელს მოხდა. ჩვეულებრივ, ასეთი ძალის რყევებს, როდესაც ისინი მთებში ან მცირედ დასახლებულ რაიონებში ხდება, მხოლოდ ხელსაწყოები აღნიშნავენ.

გსმენიათ, მაგალითად, რაიმე 1970 წლის 5 ივნისს ყირგიზეთის ტერიტორიაზე მომხდარი მიწისძვრის შესახებ? იგი ძალით ბევრად აღემატებოდა ტაშკენტისას. მაგრამ არავითარი ტრაგედია არ მომხდარა, რადგან მიწისძვრის კერა განლაგებული იყო მთებში, სადაც არ არის დასახლებული პუნქტები. 1965 და 1969 წლებში ტაშკენტიდან არცთუ ისე შორს მოხდა ძლიერი მიწისძვრები, მაგრამ ისინი თითქმის არავის უგრძვნია.

უზბეკეთის დედაქალაქში არის სეისმური სადგური „ტაშკენტი", რომელიც აღნიშნავს ყველა მიწისძვრას, დედამიწის რომელ კუთხეშიც უნდა მოხდეს იგი. საგანგაშო წარწერიანი ტაბლო და ზარი ავტომატურად ირთვება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნიადაგი აქ დაახლოებით 10 მიკრონით გადაადგილდება. წარმოდგენა რომ იქონიოთ ამ სიდიდეზე, მოვიყვანთ ასეთ შედარებას: ადამიანის თმის ღერი 50 მიკრონია.

სადგურში ამაზე უფრო მგრძნობიარე ხელსაწყოებიცაა. მაგალითად, ის, რომელიც აღნიშნავს უმცირეს ცვლილებებს ნიადაგის დახრილობაში. თუ ამ ხელსაწყოს დავდგამთ იდეალურად სწორი 20-30 კილომეტრის სიგრძის ძელის ერთ ბოლოში, ხოლო მეორე ბოლოში ამ ძელს ასანთის ღერს ამოვუდებთ, უზუსტესი აპარატურა აღნიშნავს კუთხეს, რომელიც გრადუსის მემილიონედი ნაწილით იზომება.

ჩვენს ქვეყანაში პირველად, ტაშკენტში მოწყობილია რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა სადგურებიდან სეისმური სიგნალების რადიოთი მიღება, და მეცნიერმუშაკებს ხელსაწყოების ჩვენების მიხედვით შეუძლიათ თვალი გაადევნონ, როგორ ვრცელდება მიწისძვრის ტალღა, რომელიც კოსმოსურ სიჩქარეს ანვითარებს (რვა კილომეტრი წამში), და გაცილებით სწრაფად და ზუსტად განსაზღვრონ მიწისძვრის ეპიცენტრი.

ყველა ამ ხელსაწყოს ნახვა შეიძლება. მაგრამ ისინი, რომლებიც ნიადაგის რყევას განსაზღვრავენ — მიწის ქვეშაა განლაგებული, რადგან არათუ ფრთხილი ნაბიჯები, არამედ სინათლეც, ტემპერატურის სულ უმნიშვნელო ცვლილებაც კი ახდენს გავლენას მათ მაჩვენებლებზე. ერთ-ერთ სეისმომიმღებთან შესვლა კი საერთოდ აკრძალულია: იგი ჩაშვებულია 2,5 კილომეტრის სიღრმის ჭაურში, რომელიც სწორედ ტაშკენტის მიწისძვრის ეპიცენტრშია გათხრილი.

არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე ეს სეისმური სადგური არასდროს ყოფილა სტუმრების ისეთი სიმრავლის მოწმე, როგორც 1966 წელს. სდგურის თანამშრომლებისაგან, რომლებიც დედამიწის მაჯისცემას უსმენენ, მრავალ კითხვაზე პასუხს ელოდნენ სახელმწიფო დაწესებულებათა, მგეგმავთა, მშენებელთა წარმომადგენლები, ჟურნალისტები და, ცხადია, ყველა ტაშკენტელი: როდის შეწყდება მიწისქვეშა ბიძგები, შეიძლება თუ არა აქ მშენებლობის დაწყება, და თუ შეიძლება, რა გაანგარიშებით და საერთოდ ხომ არ აჯობებს ქალაქის სხვა ადგილზე აშენება? რასაკვირველია, ყველას განსაკუთრებით აინტერესებდა ერთი საკითხი: მოსალოდნელია თუ არა ტაშკენტში ახალი მიწისძვრები და როდის?

ქალაქი სეისმურად საშიშ ზონაშია განლაგებული და მიწისძვრები მოსალოდნელია. მაგრამ, ჯერ ერთი, სავალდებულო არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც 1966 წლის აპრილში იყო, და, მეორე, საეჭვოა, რომ მისი კერა კვლავ ქალაქის ცენტრის ქვეშ იყოს და, კიდეც რომ განმეორდეს ასეთი მიწისძვრა, ახალი ქალაქისათვის იგი პრაქტიკულად საშიში აღარ იქნება. 1966 წელსაც ხომ მხოლოდ ძველი სახლები დაინგრა, ახალი კი გადარჩა. ახლა ყველა ნაგებობა სეისმოგამძლეა.

არცთუ დიდი ხნის წინათ მეცნიერები მიწისძვრის პროგნოზირებას არასერიოზულ საქმედ მიიჩნევდნენ. ახლა კი ეს სეისმოლოგების სამუშაო გეგმაა. თემა, რასაკვირველია, ძალიან რთულია: ცდას ვერ ჩაატარებ, მიწისძვრას ვერ მოაწყობ! მცირე მასალის მოსაპოვებლადაც კი მრავალი წლის დაუღალავი შრომაა საჭირო. მაგალითად, შენიშნულია, რომ მიწიერი კატაკლიზმების წინაპერიოდში ღრმა წყალსაცავებში წყლის შემადგენლობა იცვლება. კერძოდ, ტაშკენტის წყალში მატულობს რადონის შემადგენლობა. მაგრამ ეს მოვლენა დამახასიათებელი ნიშანია მიწისძვრის მოახლოებისა საერთოდ, თუ კერძოდ ამ მოცემული რაიონისათვის, ამის გადაჭრით თქმა ჯერჯერობით არ შეიძლება, საჭიროა დაკვირვების

აკროსტიხი ზმა ანაგრამა შარადა გამოცანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკროსტიხები

1

სულით და გულით პატიოსანი
აქებს, ადიდებს მის დღეგრძელობას;
მისით ამაყობს, თავმოყვარეობს,
შეჰხარის, იჩენს მისთვის ქველობას!
ოხ, რა ზიზღითა შეჰყურებს მის მტერს,
ბოროტსა ჰკიცხავს, ჰგმობს
სულელობას;
ლხინად მიუჩანს მისთვის სიკვდილი,
ოღონდ ეღირსოს მის წარმატებას!..

2

მისი საამო ჭიკჭიკი,
ექვსი თვე არა მსმენია,
რად იგვიანებს?.. უმისოდ
ცრემლთა ნაკადი მდენია!
ხალხისა მახარობელი
აღარსად გამოგვჩენია,
ლოდნა გვაქვს გაზაფხულისა,
ის ვარდთა გადმომფენია!

ზმები

1

მირონი მცხე, თაყვანსა გცემ,
არ ვარ ძია უმადური;
მგელათ იცნობ შენს მოყვარეს,
უსაბაბოდ ბევრს მემდური!...

2

ახალი ჩარჩი ტიროდა, —
ბალი შინ დამილპებაო.
მუშტარი ელის ყიდვასა:
წავიღებ, არ წახდებაო.

მიხეილ ლელაშვილი (1869-1914 წ.წ.) რევოლუციური პოეზიის თვალსაჩინო წაარმომადენელია. იგი იყო თავისი დროის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მსახიობი, დრამატურგი, მრავალი პერიოდული გამოცემის რედაქტორი.

მომავალი მწერალი ღარიბი მუშის ოჯახში დაიბადა. მან დამოუკიდებლად, უდიდესი მონდომების წყალობით შეისწავლა წერა-კითხვა. ბოლოს კი, პრაქტიკული ცხოვრების გამოცდილებით აღსავსემ, მწერლობას მიჰყო ხელი. პრესის საშუალებით, ხალხში რევოლუციური იდეების ქადაგებისათვის 1914 წელს იგი დააპატიმრეს და წამებით მოკლეს მეფის ჯალათებმა.

მწერალი სადიდო ლექსებსა და მოთხრობებთან ერთად ბავშვებისათვის წერდა აკროსტიხებს, ზმებს, შარადებს...

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

შარადა

პირველ სამ ასოს მოჰპარავ
სიტყვას, რომ ნიშნავს დილის
ცვარს,
შემდეგი ოთხი ასო კი
გაგონებს ჩიტის ციხის კარს,
მთელი კი — წელში მოხრილსა
პურის სამკალსა იარაღს.

ანაგრამა

პირველი არის ნადირი
ფრთხილი და გონიერია;
შეუპოვარი, გულადი,
სწრაფი და ღონიერია.
მეორე არის მინდორი
საცქერლად მშვენიერია,
მორთულსა ყვავილებითა
შეჰხარის მთელი ერია.
ორივე ოთხი ასოთი
ადვილად დასაწერია.

გამოცანები

1

ქვეყანას თავს აფარია
ხან ყვითელი, ზოგჯერ ლურჯი,
უშიშარი ბანი არის,
არ სჭირდება ბოძი, ბურჯი.

2

მე დავიბადე ციხეში,
თხელი კედელი ვთხარეო,
გამოველ, ვნახე სინათლე,
ბუნებით გავიხარეო.

3

დაუთვალავი ძმებითა
ვცხოვრობდი მაღალ მთაზედა,
მოვიდა რკინა, დაგვხოცა,
დანები ება ყბაზედა.

გაგრძელება სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილებში.

კომპლექსური გამოკვლევებისათვის შუა აზიაში განკუთვნილია გიგანტური პოლიგონი — 10 ათასი კვადრატული კილომეტრი. მალე სწავლულებს საშუალება ექნებათ ჩაატარონ თავისებური ექსპერიმენტი: როდესაც უზბეკეთის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ახალი — ჩარვაკის წყალსაცავი აივსება, წყლის გიგანტური სისქე უმძიმეს ტვირთად დააწვება მიწის ქერქს და შესაძლებელი იქნება ამით გამოწვეულ პროცესზე დაკვირვება, მისი გაანალიზება. სეისმოლოგები ო�იან, რომ საინტერესო ცნობებს შეიტყობენ.

ცხადია, დადგება დრო, როდესაც შეგვეძლება რამდენიმე თვის სიზუსტით განვსაზღვროთ მომავალი მიწისძვრა. ეს უდიდესი მიღწევა იქნება. რას მოგვცემს იგი? რასაკვირველია, კატასტროფას თავიდან ვერ ავიცილებთ, მაშ რა ვიღონოთ? იქნებ სჯობს მოვიახლოვოთ მომავალი მიწისძვრის დრო. მაგრამ როგორ? მაგალითად, სავარაუდო ეპიცენტრში, რომელსაც მეცნიერები დაადგენენ, გავჭრათ ღრმა ჭაური და ჩავუშვათ მასში მძლავრი მუხტი. დაე, აფეთქების ძალა გახდეს წვეთი, რომელიც ხელს შეუწყობს დედამიწის გულში დაგროვილი ენერგიის ამოხეთქვას.

წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: დადგენილი დღის წინ ყველას გააფრთხილებენ: „მიწისძვრა დანიშნულია დღის პირველი საათისათვის“. ადამიანები უშიშარ ადგილს შეაფარებენ თავს, გამოირთვება წყალი, გაზი, მუშაობას შეწყვეტენ საწარმოები. შემდეგ მოხდება მიწისქვეშა აფეთქება, რომელიც გამოიწვევს უკვე მომწიფებულ მიწისძვრას. სეისმოგამძლე ნაგებობისათვის იგი არ არის საშიში. შესაძლოა, სადღაც მინა ჩაიმტვრეს, ბათქაში ჩამოცვივდეს, კედელი დასკდეს... მაგრამ არავინ არ დაშავდება. სწავლულები კი განაგრძობენ დაკვირვებას, რათა, შესაძლოა, ასიოდე წლის შემდეგ კვლავ აუწყონ ხალხს ამ რაიონში მოსალოდნელი საფრთხის შესახებ.

კრებულიდან „ევრიკა“ 72.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრმავების შიშით

როგორ წარმოიშვა მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული სამხედრო სალამი—ქუდთან მარჯვენა ხელის მიტანა? ლეგენდა მოგვითხრობს, რომ 1588 წელს ესპანეთის ფლოტზე ინგლისელთა გამარჯვების შემდეგ ადმირალ დრეიკს აცნობეს: ბრძოლაში თავგამოჩენილთა დაჯილდოებას თვით დედოფალი ელისაბედი დაესწრებაო. ადმირალმა გამოსცა ბრძანება: „დაჯილდოების საზეიმო პროცედურის დროს თითოეულმა თქვენგანმა, მისი უდიდებულესობის დამაბრმავებელ სილამაზეს რომ შეხედავს, თვალები უნდა დაიცვას მარჯვენა ხელისგულით“.

სამხეცის ნიჭიერი ბინადარნი

ცნობილია, რომ თუთიყუში ნიჭიერი ფრინველია, განსაკუთრებით კი მიბაძვაში, მაგრამ მას, თურმე, მხოლოდ ფონეტიკური ნიჭი როდი გააჩნია. ამერიკის ერთ-ერთი შტატის — არკანზასის ზოოპარკში თუთიყუშებმა ადვილად ისწავლეს მინიატურული ავტომობილების მართვა. ისინი აგრეთვე მარჯვედ დასრიალებენ გორგოლაჭებიანი ციგურებით. თუთიყუშებს სამხეცის სხვა ბინადარნიც არ ჩამორჩებიან. ღრუტუნა, მაგალითად, ზოგჯერ ფორტეპიანოზე დაკვრაში „ვარჯიშობს“, თიკანი კი, მოკრივის ხელთათმანებს რომ ჩააცმევენ, აპერკოტის დამუშავებას იწყებს (აპერკოტი კრივში ქვემოდან ყბაში ან მუცელში დარტყმას ნიშნავს).

ტელეხედვა ყოფაცხოვრებაში

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შექმნეს პორტატიული ტრანზისტორული ტელეკამერა. მისი გამოყენება შეიძლება მაღაზიაში, სკოლაში, საავადმყოფოში და საცხოვრებელ ბინაშიც კი. შეაერთებთ კამერას ტელევიზორთან და შეგიძლიათ თვალყური ადევნოთ, რა ხდება სამზარეულოში, ბავშვთა ოთახში და ა. შ.

მუსიკა დიდად სასარგებლოა

მუსიკა, ისევე როგორც სამრეწველო შენობების შიდა კედლების ფერი, მცირე როლს როდი ასრულებს წარმოებაში: ზრდის შრომის ნაყოფიერებას, აკონცენტრირებს მუშების ყურადღებას ერთფეროვანი სამუშაოების შესრულებისას, აქარვებს დაღლილობას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას. ეს დიდი ხანია დამტკიცებულია სწავლულთა დაკვირვებებით. ბირმინჰემის უნივერსიტეტის გაანგარიშებით, ამწყობ საამქროში მუშების მიერ დაშვებული შეცდომები 37 პროცენტით შემცირდა, როცა მუსიკა უკრავდა, ექვსი თვის მანძილზე 8 პროცენტით გაიზარდა საფოსტო განყოფილებებში დამხარისხებელთა შრომის ნაყოფიერება.

მეცნიერთა აზრით, მუშაობის დროს ყველაზე სასურველია მსუბუქი, ხმადაბალი მუსიკა. ხმამაღალი მარშები უნდა ჩაირთოს სამუშაო დღის დაწყებისა და დამთავრებისას, და ისიც მხოლოდ 3-5 წუთით.

აღმოჩნდა, რომ მუსიკა კარგად მოქმედებს ადამიანის მადაზეც. ამ გარემოებით დაინტერესდნენ ინგლისის ბევრი რესტორნის მეპატრონეები. ისინი არკვევენ, რა გავლენას ახდენს ესა თუ ის მუსიკალური ჟანრი კლიენტების მადაზე. ჯერჯერობით ერთ აზრზე ვერ დამდგარან. მაგალითად: ჩინური რესტორნები ჯაზს აძლევენ უპირატესობას, ევროპული კი — სიმებიან ორკესტრს.

ხელოვნური ხეების ბაღი

ქალაქ ლოს-ანჟელოსის (აშშ) მესვეურებმა გადაწყვიტეს ქალაქის ცენტრში — ბულვარში ხელოვნური ხეებისა და ყვავილების „დარგვა“ და მათ შესაძენად 60 მილიონი დოლარიც გაიღეს. უთუოდ იკითხავთ: რატომ ხელოვნური და არა ნამდვილი მცენარეები? ქალაქის ხელისუფალთა აზრით, ნამდვილი ხეებისა და ყვავილების დარგვას აზრი არა აქვს, რადგან ისინი, სულერთია, ავტომანქანების გამონაბოლქვი გაზით დაიღუპებიან.

„საბანი“ საცურაო აუზისათვის

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოიგონეს ღია საცურაო აუზებში ტემპერატურის შენარჩუნების ხერხი: წყლის ზედაპირი იფარება 40 ათასი პლასტმასის ფარფლიანი ბურთულისაგან „შეკერილი საბნით“. ბურთულები მოცურავეებს ხელს არ უშლიან, ზამთარში კი წყალს სწრაფი გაცივებისაგან იცავენ. თუ, მაგალითად, ქუჩაში 14 გრადუსი ყინვაა, 30 გრადუსამდე გამთბარი წყალი ერთ დღე-ღამეში მხოლოდ 2 გრადუსით ცივდება.

უმაღლესი ხიდი ევროპაში

იუგოსლავიის ქალაქ ტიტოგრადიდან 16 კილომეტრის დაშორებით, მდინარე მალარიეკაზე გაიდო კილომეტრნახევარი სიგრძის სარკინიგზო ხიდი. იგი ექვს ბურჯს ეყრდნობა და წყლის დონიდან 205 მეტრის სიმაღლეზეა.

უმტვრევი ნათურები

საკუთარი გამოცდილებით ყველამ იცის: ნათურის მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი იმტვრევა. და აი, ახლახანს ინგლისელმა ინჟინრებმა დაამზადეს ისეთი ნათურა, რომელიც არ იმსხვრევა — სპეციალური რეზინის ლაქი აქვს წასმული.

პითონის იმედით

ინგლისელი ბარი ჰოუზი არხეინად გრძნობს თავს: სადაც უნდა დატოვოს თავისი ავტომობილი, დაუკეტავადაც კი, ქურდები ხელს ვერ ახლებენ. რატომ? აბა ვინ მიეკარება მანქანას, რომლის საჭეს გარს ახვევია ცოცხალი პითონი?! არ გეგონოთ, ბატონი ჰოუზი გველების მწვრთნელი იყოს. არა, მას, უბრალოდ, ცხოველები უყვარს და პითონიც შემთხვევით შეიძინა. მალე შენიშნა, რომ გველს ძალზე იზიდავდა საჭმე. ჰოუზი მანქანიდან გადმოდის თუ არა, პითონი მყისვე საჭეს შემოეხვევა ხოლმე. ჰოუზს მხოლოდ ერთი რამისა ეშინია: ვინმე მჩხიბავმა არ მოინდომოს მისი ავტომობილის გატაცება.

სადა ხარ, დოდო?

დოდო პირველი ფრინველია, რომელიც ადამიანმა მოსპო. მავრიკიის კუნძულზე მობინადრე ეს ფრინველი უკანასკნელად 1681 წელს არის ნახსენები. ბრიტანეთის მუზეუმსა და კემბრიჯში მისი მხოლოდ ორი ჩონჩხია შემონახული, კოპენჰაგენში კი — ნისკარტის ნაწილი. ცნობილია, რომ რამდენიმე ცოცხალი დოდო მავრიკიდან ჩაიყვანეს იაპონიაში, ინდოეთში, ჰოლანდიაში... ვინ იცის, იქნებ მათი შთამომავლები ახლაც ცოცხლები არიან.

განკოფილება მიკუავთ ბ. ძნელაძის სახელოგნის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საუფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტის პედაგოგებს: მერი ტაბიძეს, ლეილა ახობაძეს და ნანა უანდარელს.

ჭკოვა

გაკვეთილი მეშვიდე

თვლების გაანგარიშება რეგლანისათვის

ქსოვაში რომ სიზუსტე დაიცვათ, ქსოვის დაწყებამდე უნდა გამოიანგარიშოთ საწყისი თვლების რაოდენობა.

იმავე ძაფითა და ჩხირებით, რომლითაც უნდა შეასრულოთ თქვენი ძირითადი სამუშაო, მოქსოვეთ ნიმუში 10 სმ×10 სმ-ზე. დააფინეთ სველი ტილო და ცხელი უთოთი ისე გაუთოეთ, რომ ნაქსოვი არ დაიბიმოს. სანტიმეტრით გაზომეთ ნიმუში და გაიგეთ, რამდენი თვალი შედის 10 სმ-ში ჰორიზონტალური მიმართულებით. ვთქვათ, 10 სმ=30 თვალს, მაშინ, ცხადია, 1 სმ-ში 3 თვალი იქნება. ამის შემდეგ გამოიანგარიშეთ საერთო თვლების რაოდენობა საჭირო ზომისათვის. თუ თქვენი უელის ზომა არის 30 სმ, მაშინ თვლების რაოდენობა იქნება 90.

კოფთა რეგლანი სახელოებით

ზომა 48.

საჭირო მასალა: ძაფი 350-400 გრ.

ჩხირები № 2 და № 2,5.

თვლების გაანგარიშება: 10 სმ=30 თვალს, 1 სმ—3 თვალს. ქსოვა იწყება ზემოდან.

ასეთი კოფთისათვის საჭიროა 90 თვალი. წვრილი ჩხირებით—№ 2-ით მოქსოვეთ 4-6 სმ სიმაღლეზე თავშლისებური ქსოვით. შემდეგ გადადით № 2,5 ჩხირებზე და ქსოვეთ წინდისებური ნაუში.

რეგლანი რომ ზემოდან მოიქსოვოს, საჭიროა თვლების საერთო რაოდენობას გამოვაკლოთ 4 თვალი რეგლანის ხაზისათვის, ე. ი. 90—4=86 თვალს. 86:3=28-ს, გვრჩება 2 ნაშთი: 2 ნაშთი ემატება ზურგს: 28+2=30. ე. ი.:

I. ზურგი — 30 თვალი.

II. სახელოები ავიღოთ 24. 24:2=12 თვალს. (12 თვალი ერთი სახელო და 12 თვალი მეორე სახელო)

III. წინა გული იქნება 32 თვალი.

თუ ზურგი ჩახსნილია, ზურგის თვლების რაოდენობას ვყოფთ 2-ზე.

ამ შემთხვევაში ზურგის თვლების რაოდენობა — 30:2=15.

მოქსოვეთ 4 სმ თავშლისებური ქსოვით № 2 ჩხირებით, შემდეგ განაგრძეთ ქსოვა № 2,5 ჩხირებით წინდისებური ნაუშით.

I რიგში წაღმა პირიდან ხდება რეგლანის ხაზის დადგენა. რეგლანის ხაზი გეკნებათ ოთხი. თითოეული შემაერთებელი თვალის (ე. ი. რეგლანის



ხაზის) წინ და შემდეგ ხდება მატება.

მოქსოვეთ 15 თვალი წაღმა, ნამატი, 1 თვალი უკუღმა, ნამატი, 12 თვალი წაღმა, ნამატი, 1 თვალი უკუღმა, ნამატი, 32 თვალი წაღმა, ნამატი, 1 თვალი უკუღმა, ნამატი, 12 თვალი წაღმა, ნამატი, 1 თვალი უკუღმა, ნამატი, 15 თვალი წაღმა.

II რიგი და ყველა წყვილი რიგი იქსოვება უკუღმა, რეგლანის ხაზის გარდა. რეგლანის ხაზი უკუღმიდან იქსოვება წაღმა თვლებით.

მატება რომ არ შეგეშალოთ, რეგლანის ხაზი დანიშნეთ ფერადი ძაფით.

როდესაც მოქსოვთ 27 სმ სიგრძეზე, სახელოების თვლები, რეგლანის ხაზის ჩათვლით, გადაიტანეთ ცალკე ჩხირებზე, ხოლო კოფთის წინა გული და ზურგის მხარე გადაიტანეთ მთლიან ჩხირებზე და მოქსოვეთ მრგვალად სასურველ სიგრძეზე და დაამთავრეთ თავშლისებური ქსოვით 4 სმ სიგანეზე. სახელოები მოქსოვეთ ცალ-ცალკე, სახელოების ქსოვის დროს ხდება კლება. ყოველი მესამე რიგის ბოლოს მეოთხე რიგში გამოქსოვეთ ორი თვალი ერთად. რიგის თავში და ბოლოში როდესაც დაგრჩებათ 50 თვალი, გადაიტანეთ № 2 ჩხირებზე და მოქსოვეთ 4 სმ სიგანეზე თავშლისებური ქსოვით. ქსოვას რომ დაამთავრებთ, ნაქსოვი დააუთოეთ და სახელოები გაკერეთ. ზურგზე გაუკეთეთ ღილები ან სხვა ნებისმიერი შესაკრავი. წინა გულის მხარეზე შეიძლება ამოქარგოთ.

ქარგულობა

გაკვეთილი მერვე

ჯაჭვისებური ნაკერი

ჯაჭვისებური ნაკერი შედგება ჯაჭვის ცალკეული რგოლებისაგან, რომლებიც ქარგვის დროს ქსოვილზე წარმოქმნიან ერთ მთლიან ჯაჭვს. ამ ნაკერის ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან მიჭრილნი, რადგან თითოეული მათგანი მის წინამდებარე მარუუუიდან გამომდინარეობს. ეს ნაკერი მოგვაგონებს ყაისნაღით შესრულებულ ჰაეროვან თვალთა გამონაქსოვს.

ამ ნაკერის ამოქარგვა იოლია და შემდეგნაირად სრულდება: ნემსს ქსოვილში ჩავუყრით ვერტიკალურად — ზევიდან ქვევით, ჩავამაგრებთ და გადავალთ 0,5 სმ-ზე. ძაფს ამოვდებთ ნემსის ქვემოთ. წარმოიქმნება მარუუეი. გამოვწევთ ნემსს და მარცხენა ხელის თითებით ფრთხილად გავასწორებთ მორკალებულ ძაფს, რათა ძლიერად არ დაიგრეხოს და ულამაზო არ გამოვიდეს ჯაჭვის რგოლი. შემდეგი რგოლი გამომდინარეობს მის წინამდებარე რგოლისაგან. ამ ნაკერის



შესრულებისას სამუშაო ძაფი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიბიმოს მაქსიმალურად, თორემ მივიღებთ გრძელი ჯაჭვის რგოლებს, სასურველია, ისინი მრგვალი იყოს. ამ ნაკერით შეიძლება მრგვალი ნაუში ამოიქარგოს როგორც ლოგინის, ისე მაგიდის თეთრეულზე.

თევზიფხური ნაკერი

ეს ნაკერი სრულდება ორ პარალელურ ხაზს შორის, მარცხნიდან მარჯვნივ, ნემსის

წვერი მიმართულია მარცხნივ. ქსოვილი გადაბიმეთ მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე, ძაფის ბოლო ჩაამაგრეთ დაბლა ხაზზე ორი ჩაბმით, უნასკვოდ: ნემსი ჩაუყარეთ წაღმა პირიდან, ზემო ხაზიდან მარჯვნიდან



მარცხნივ, შემდეგ კი ასევე ქვემო ხაზზე. წაღმა პირიდან წარმოიქმნება გადაჯვარედინებული პარალელური ნაკერები, უკუღმა მხარეს კი — ორი პარალელური გვირისტი, რომელიც ნემსის წვერით ნაკერს მოგვაგონებს. ამ ნაკერის შესრულება შეიძლება ნებისმიერი ნაუშის მიხედვით, შეგვიძლია იგი ამოვქარგოთ განიერი ან ვიწრო, ხშირი ან თხელი ნაკერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუნიორია

გაკვეთილი მერვე

შოკოლადის ტორტი

მასალა: 15 ცალი კვერცხი, 800 გრ შაქრის ფხვნილი. 800 გრ პურის ფქვილი, 50 გრ კაკაო, 300 გრ კარაქი, 1 ქილა შესქელებული რძე, ნახევარი ფილა შოკოლადი, 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი.

მომზადების წესი: კვერცხის გულისა და შაქრისგან დაამზადეთ გოგლიმოგლი, შეურიეთ კაკაოს ფხვნილი და ფქვილი, მიუმატეთ ათქვეფილი კვერცხის ცილა და ფრთხილად ურიეთ, ჩაასხით ყალიბში და შედგით გამოსაცხობად, საშუალო ტემპერატურაზე.

კრემი ტორტისათვის: 800 გრ კარაქი ათქვიფეთ გათეთრებამდე, მიუმატეთ 1 ქილა შესქელებული რძე და ურიერთ 5 წუთი, მიუმატეთ ნახევარი ფილა გახეხილი შოკოლადი და ვანილი. განაგრძეთ მორევა 5 წუთს. გამომცხვარი ბისკვიტი გაჭერით ორ ნაწილად, თითოეული ნაწილი დანამეთ 1 ჩაის ჭიქა სითხით. სითხე კი ასე მზადდება: ჭიქაში ჩაყარეთ 4 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი და ჩაასხით 1 სუფრის კოვზი კონიაკი, შეავსეთ ადულებული წყლით. დანამვის შემდეგ ქვედა ნაწილს წაუსვით კრემი და დაახურეთ მეორე ნაწილი. კრემი წაუსვით ზედა ნაწილსაც და გვერდებზეც. მოაყარეთ წინასწარ დაჭრილი და მოხალული ნიგოზი.

გაკვეთილი მეცხრე

მარწყვის ტორტი

მასალა: 5 ცალი კვერცხი, 5 სუფრის კოვზი ფქვილი, 5 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 1 კგ მარწყვი, 2 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 ქილა შესქელებული რძე, 300 გრ. კარაქი.

მომზადების წესი: ათქვიფეთ კვერცხის ცილა 5 წუთი, მიუმატეთ შაქრის ფხვნილი და თქვიფეთ კიდევ 5 წუთი, მიუმატეთ კვერცხის გული და თქვიფეთ 10 წუთი, დააყარეთ ფქვილი და ფრთხილად მოურიეთ, ჩაასხით ყალიბში და გამოაცხვეთ გაზქურაში საშუალო ტემპერატურაზე.

კრემი ტორტისათვის: 800 გრ კარაქი თქვიფეთ გათეთრებამდე, მიუმატეთ 1 ქილა შესქელებული რძე; 1 კგ მარწყვს წინასწარ დააყარეთ შაქრის ფხვნილი და დადგით 1 საათი. გადმოწურეთ სიროფი და დაასხით ორად გაჭრილ ბისკვიტს, ხოლო ნაყოფი აურიეთ კრემში და წაუსვით ბისკვიტს.

გარეცხვის შემდეგ ტანსაცმელმა ფორმა რომ არ დაკარგოს, ასე გააშრე.

ნაზეთურაზე წამოცმული პოლიეთილენის პარკი ზეთის ლაქებისაგან დაიცავს ავეჯსაც და შენს ხელებსაც.

ლითონის სახაზავი გაცილებით კარგად გემსახურება, თუ ცალ მხარეზე ლეიკოპლასტირს დააწებებ.

ასეთი პატარა მაგიდა იოლი გასაკეთებელია, იგი სულ მცირე ადგილს იკავებს. მაგიდა სკამზე დამაგრე და ზედ საპროექციო აპარატი დადგი.



უსაყრდენო თხელ ფიცარში ლურსმნის ჩაჭედება ძალიან ჭირს, ამიტომ კარგი იქნება თუ ჭახრაკს გამოიყენებ.

როცა ხელთ არა გაქვს შტანდენციერკუდი და გინდა ზუსტად გაზომო ცილინდრისა თუ ქანჩის დიამეტრი, უნდა კამოიყენო გირაგი და სანტიმეტრებად დაყოფილი სახაზავი.

კარ-ფანჯარაში დატოვებული ღრეჩოებიც შეგიძლია ლეიკოპლასტირით ამოავსო. ლეიკოპლასტირი ჩარჩოებს ორივე მხარეზე დააწებე და დაამაგრე.



შარვალი დაგიმოკლდა? ნუ გადაგაგდებ. დახედე ამ ნახაზს და შარვლის ასე დაგრძელებას თუ თვითონ ვერ შეძლებ, ოჯახში ვინმე დაიხმარე.

წყლით ავსებული რეზინის მილი, რომელსაც ბოლოებზე მინის მილი აქვს დაცობილი, შესანიშნავი საშუალებაა იმის გასაგებად, მდებარეობენ თუ არა. საგნები ერთსა და იმავე სიბრტყეზე.

კროსვორდი



თარაზულად: 1. გაზი; 6. საბჭოთა რესპუბლიკა; 9. კონტინენტი; 10. კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ქალი; 14. საპატიო სტუმრისათვის სპეციალურად გამყოლი დაცვა; 15. სამგანზომილებიანი გეომეტრიული სხეული; 17. ევროპის ერთ-ერთი ეროვნება; 19. აღორძინების ეპოქა ანუ? 23. ხელიანი სასმისი; 24. ამერიკელის მეტსახელი; 25. უალკოჰოლო სასმელი; 26. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები; 27. ცივი საბრძოლო იარაღი; 30. მაღალი წოდების პირი ინგლისში; 31. სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო ფაშისტურ გერმანიაში; 32. გარეული ცხოველი; 33. ტექსტში ახალი აზრის დასაწყისი; 34. ფულის ერთეული უნგრეთში; 36. მკაცრი, მრისხანე; 28. გრძელ დისტანციაზე მორბენალი; 39. მაღალი საეკლესიო წოდება; 40. ალ. ყაზბეგის მოთხრობა.

შვეულად: 2. გარეული ცხოველი; 3. მაღალი თანამდებობის პირი მთიელთა ტომებში შამილის დროს; 4. გამოჩენილი ფრანგი მწერალი; 5. მამაკაცის ძველებური წამოსასხამი; 7. მეხსიერების პათოლოგიური დაქვეითება; 8. მთათა სისტემა, საიდანაც სათავეს იღებს მდ. მტკვარი; 11. დიდი ქართველი პოეტი; 12. ქვანახშირის სახეობა; 13. ორგანიზმის მიერ დაკარგული ნაწილის (ორგანოს, ქსოვილის, უჯრედის) აღდგენა ანუ?; 16. მსაჯი, ანუ?; 17. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო, სადაც გამოიგონეს ანბანი; 18. ყურძნის ასხმულა; 20. ძველი აღმოსავლური თამაში; 21. ქსოვილი; 22. მეცნიერების დარგი; 28. ქაოსი, უწესრიგობა; 29. დედნის პირი; 30. ჭადრაკის ფიგურა; 34. გოეთეს ცნობილი ტრაგედია; 35. სახელმწიფო ევროპაში; 37. ძველი რუსეთის მთავარი; 38. ისტორიული ძეგლი საქართველოში.

მანანა ზამბახიძე,
თბილისის 151-ე საშ. სკოლა, IX კლასი.

პასუხები: № 8-ში დაბეჭდილი შარადისა: ენძელა, ამ ნომერში 28-ე გვერდზე დაბეჭდილი აკროსტიხებისა: სამშობლო, მერცხალი.

ზმებისა: 1. მცხეთა, ვარძია, გელათი, ბოდბე. 2. ხალიჩა, ჩიტი, დაბალი, შინდა. ტარიელი. შარადისა: ნამგალი. ანაგრამისა: ლომი — მოლი. გამოცანებისა: 1. ცა; 2. წიწილა; 3. თმა.

აბა, გამოიცანი: მარცხენა ნახატს მიუდგება ნახატი, რომელსაც ქვეშ ასო „დ" აწერია.

საქიეგელი

რეპორტაჟი ბალ-ვენახებიდან	1
ჯილაია ს. — გალაკტიონი (წერილი)	5
მეგზურიშვილი ტ. — წარწერა გალაკტიონის წიგნზე (ლექსი)	5
თოდუაძე მ. — წყნეთის ავტობუსში (პოეტის გახსენება)	9
ბეზარაშვილი ნ. — ღიმილი (მოთხრობა)	9
ჩვენთან სტუმრად არის ლატვიის სსრ საბავშვო ჟურნალი „დრაუგსი"	12
ჭიჭინაძე ბ. — „ცრუმზისა" (პიესა)	22
ახალი წიგნები	26
მიწისძვრა დაკვეთით? (წერილი)	29
ჭადრაკი —	29
გამოგადგები	30
ცხრაკლიტული	32

გარეკანის პირველ გვერდზე — ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გიორგი ძლიბაძე, ნოდარ შამანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 17/VII-73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII-73 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 2419 ტირ. 131.000. უე 01941.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონა გოსტნეულით. ანჭა რენატე.

III კლასის მოსწავლე.

გოგონა გოსტნეულით. სილვია გოლიარე,

III კლასის მოსწავლე.

ᲚᲐᲢᲕᲘᲔᲚ
ᲒᲐᲕᲨᲕᲗᲐ
ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ

ნატურმორტი. ეგონა ლუგინი, III კლასის მოსწავლე.

166

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ უ ნ დ ი. კუსმა ბოდინა. III კლასის მოსწავლე.

ბ ა ზ ა რ ი. სიბნე ნატლინა. III კლასის მოსწავლე